# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 110 ხარასკევი, 22 მაისი 1909 წ.

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., ხამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ ხაღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან საღამოს 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კაპ., ერთი თვით—1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე ღირს 5 მ. 80 კ.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე, საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ. Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.


გრიგორ დავითის ძე შელიავა, მისი დები მინადორა, პელაგია და ანნა დავითის ასულნი, მღვ. ნესტორ გეორგაძე და სათ.-აზნაურთ გიმნაზიის მასწავლებელი იონა კობახიძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი ოთხი—ძმის, უკანასკნელი ცოლი ძმის

**ვლადიმერ დავითის ძის შელიავასას.**

ცხედრის გამოსვენება ვოგზლიდან მწვანე ყვავილას ეკლესიაში შაბათს, 23 მაისს, ნაშუადღევის 3 საათზე. (1—კვ.—1)


რესტორანი და ბაღი

## პალერმო

(მიხაილოვის პროს., № 147).

სადილის დროს და აგრეთვე საღამოს 8 საათიდან ღამის 2 საათამდე ბერძნულ-რუმინიელი საკონცერტო კაპელლა ცნობილ ბარიტონის— ა. პ. ბერნარდის გამგეობით.

სადილი: 4 თავისაგან 1 მან., 3—75 კ., 2 თავისაგან 50 კ.

სამზარეულოს განაგებს დახელოვნებული კულინარი.

ბუფეტში მოიპოვება ყოველ-გვარი რუსეთისა და უცხოეთის სასმელები.

რესტორანს აქვს ცალკე კაბინეტები

მიიღება „ზაკაზები" სადილების, ვახშმებისა და ქორწილებისა. აგრეთვე ქირავდება სეირნობისა და ლატარეა-ალეგრის გასამართავად. (2—ჩიხ.—1)

მუშტაიდის ბაღში კვირას, 24 მაისს, 1909 წ. საზოგადოება „განათლება" მართავს

## დიდს სეირნობას

1. გასართობები ბავშვებისათვის: შვილდისარი, ჯირითი ველოსიპედებით, კარუსელი და სხვა;
2. ბაზარი Boue de le chance, ვისია ყანწი, ბედის ჩარხი, სიუხვის ქვევრი, ყვავილები, კონფეტი, ტიროლელი მომღერალნი, სამხედრო მუსიკა და დუდუკი.

დასაწყისი 2 საათზე.

შესასვლელი ფასი 20 კაპ., ყმაწვილებისთვის 10 კ. (5—უ.—3)

ქართულ სიტყვა კაზმულ მწერლობის საბჭო აცხადებს, რომ განზრახულ

## სალიტერატურო კრებულის

მასალების წარდგენისთვის უკანასკნელ ვადად დანიშნულია 15 ივნისი. მასალა უნდა წარედგინოს საბჭოს მდივანს სვიმონ ყიფიანს. (5—უ—3)

გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

## საქართველოს სიძველენი

ტომი მეორე

## პალეოგრაფიულის ალბომით

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემული, ექვ. თაყაიშვილის რედაქტორობით.

ფასი 3 მან. 50 კაპ.

ეს წიგნი უფასოდ დაეთმობა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ნამდვილ წევრებს, რომელთაც შემოუტანიათ 1908 წლის საწევრო გადასახადი (3 მან.). ასეთს წევრებს, ტფილისში მცხოვრებთ შეუძლიანთ მიიღონ წიგნი წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. ხოლო ქალაქს გარედ მცხოვრებთ წიგნი ფოსტით გაეგზავნება. (10—3)

სტამბა „შრომის" ამხანაგობამ ქართულად გამოსცა გიოტეს უკვდავი ქმნილება

## ფაუსტი

დრამატიული პოემა ორ ნაწილად, თარგმანი პეტრე მირიანაშვილისა.

წიგნი შეიცავს 486 გვერდსა მოზდილი ფორმატისას და ღირს 1 მან, 25 კ. ვინც ხუთზე მეტს დაიბარებს თითო წიგნი დაეთმობა მანეთად. წიგნის საწყობია „შრომის" სტამბაში.

ადრესი: Тифлисъ, Типографія „Шрома", Василію Болквадзе. (10—6.—6)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა. იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, ხაკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. ნ. 67)

**ექიმი** მ. ნ. მელიქიშვილი იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსხეს ქუჩა, N 11. (75—82)

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი** ქუთაისში მ. წერეთელი იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, ხაღაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

ახლად გახსნილი ტფილისის

## კერძო სამკურნალო

გარდან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ე. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

ვ. დ. ლამბაშიძე—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

გ. მ. მაკაროვი—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

საღამოთი.

ა. გ. მირზოევი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

ნ. გ. ჭიჭინაძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—ნ.—64)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** მ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბორონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—536—149)

**ექიმი** ი. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სახელმძღვ. სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**ექიმი** ა. დიასამიძე სადგომის გამოცვლის გამო 25 მაისამდე სახლში ავადმყოფებს არ მიიღებს; ავადმყოფებს გასინჯავს მხოლოდ „სამკურნალოში" ვოგზლის ქუჩაზე N 8, შუადღის 12—2-მდე.

**ექიმი** კბილისა ნ. რცხილაძე იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

**ექიმი** ჯაფარიძე ქ. ქუთაისში აქიმებს ყოველ ნაირ ჭლექით ავადმყოფებს ხორცსა და კან შუა შესახსმ წამლით ტუბერკულინით. ტფილისის ქუჩა, სახლი თ. ნიჟარაძისა. (12—ნ.—5)

**ექიმი** ი. ს. ხუნდაძე ქუთაისში იღებს შინაგან, საშარდე და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს, აგრეთვე ბებიაობს, ყოველ დღე: დილით 10—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ საათ ლევაშოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა. (წლ.—ნ.—58)

ქართული თეატრი

შაბათს, 23 მაისს

შ. საფაროვისა და ვ. მატარაძის საბენეფისოდ

ქ-ნ დავითაშვილის მონაწილეობით ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება

## პატარა კახი

ისტორ. პოემა 5 მოქ. აკაკი წერეთლისა. კახის როლს შეასრულებს ქ. დავითაშვილი.

## გეურქ-აღა და შანტაჟისტები

კომ. 1 მოქ. ნამისა.

მონაწილეობს მთელი ამხანაგობა.

ადგილების ფას. დაკ. დასაწ. სწ. 8½ ს. (2—2) რეჟისორი ვ. შალიკაშვილი.

## ს.-პეტერბურგის საეკისპლისტ სტუდენტთა ჯგუფი

ამზადებს მოწაფეებს როგორც სიმწიფის მოწმობის მისაღებად, ისე ყველა საშუალო კლასებსა და ხელახლა გამოცდის დასაჭერად. ყველა საგნებისათვის და უცხო ენებისათვის ცალ-ცალკე სპეციალისტები არიან. ყოველ მოწაფესთან მეცადინეობა ცალკე იქნება.

ადრესი: ტფილისი, ვარდისუბნის ქუჩა, სახლი N 3, სტუდ. მამრაძე. შეიძლება ადრესის „დროების" რედაქციაში დატოვება. (3—ნ.—2)


## ტფილისი, 22 მაისი

პოლიტიკურ ცხოვრების მიმდინარეობას რუსეთში ორი მხარე აქვს, ერთი—რომელსაც ყველანი ვხედავთ, და მეორე—რომელიც საიდუმლოებას შეადგენს. რამდენად შეესაბამება უფლებრივ სახელმწიფოს, რომ იმის პოლიტიკას იდუმალი და ფარული ძალები ამოძრავებდნენ, ეს თანამედროვე საზოგადოებრივ თვით-შეგნებისთვის საკითხი აღარ არის. ყველა, იმითაც კი, ვინც იდუმალ და ფარულ გზებით სცდილობენ თავის პოლიტიკურ სისტემის გატარებას, კარგად იცის, რომ ეხლანდელ პირობებში ეს შესაწყნარებელი არ არის, მაგრამ ამისდა მიუხედავად, ან უკეთ რომ ვთქვათ, სწორედ ამის გამო ის წრეები, რომელთაც ჩვენს დროში ხელთ უპყრიათ სადავე რუსეთის ცხოვრებისა, ყოველგზივ და ყოველ მხრივ სცდილობენ, რაც შეიძლება. სქლად გადაეფაროს აწინდელ პოლიტიკურ მდგომარეობას გამოურკვევლობის და იდუმალების ზეწარი. პოლიტიკური რეაქცია, რომელიც 1905 წლის მიწურულიდან. დღითი დღე აქამომდე ახალ-ახალ პოზიციებს იჭერს, რუსეთის ქვეშევრდომთათვის უცნობ და მიუგნებელ წყაროებიდან მომდინარე ტალღაა. მთელი ქვეყანა ჰხედავს, რომ ეს ტალღა მაჯლაჯუნასავით აწვება გულზე განახლების გზაზე დამდგარს რუსეთს; მთელი ქვეყანა ჰხედავს, რომ ამ ტალღას დიდი, მეტად დიდი ძალა აქვს, მაგრამ არავინ არ იცის, საიდან მომდინარეობს იგი და სადა აქვს მას სათავე. ყველას კარგად გვახსოვს, რომ რუსეთის განახლების ზოგს უკიდურეს ფანატიკოსს ერთხანად კადეტები მიაჩნდათ რეაქციის ბურჯად, შემდეგ კადეტების ადგილი ოქტომბრისტებმა და სხვა ზომიერებმა დაიჭირეს, ეხლა კი რეაქციის მთავარ სიმაგრედ ზომიერი მემარჯვენენი და ეგრედ წოდებული „რუსის ხალხის კავშირი" ჰხდება. რუსეთის ქვეშევრდომთა ფართო წრეების შეგნებაში რეაქციის მთავარი ძარღვი სისტემატიურის თანდათანობით იცვლის ადგილს და უკიდურეს მემარჯვენეთა ბანაკისკენ ესწრაფვის. ვიმეორებთ, ჩვენ, რუსეთის მცხოვრებნი რეაქციის განვითარებას მხოლოდ ამ გარეგანს მხარეს ვხედავთ, იმათ შინაგანი ძარღვები კი ჩვენთვის დაფარულია და უხილავი. გაივლის ხანი, ეხლანდელი მდგომარეობა ისტორიულ კვლევა-ძიების საგნად შეიქნება და მხოლოდ მაშინ გამოიფინება სინათლეზე ის დასაბამი, საიდანაც მიმდინარეობს აწინდელი სულის შემხუთავი რეაქცია. მხოლოდ მაშინ, როცა ეს უკანასკნელი დაჰკარგავს თანამედროვე პოლიტიკურ ინტერესის სიმახვილეს, მხოლოდ მაშინ მოეფინება სინათლის შუქი ეხლანდელ პოლიტიკურ მდგომარეობის იდუმალს და შინაგანს მხარეს.

ეხლა კი მხოლოდ ერთი რამ შეგვიძლიან აღვნიშნოთ. რაც უფრო მარჯვნივ იწევს რეაქცია, მით უფრო აუტანელი ჰხდება ცხოვრება, მაგრამ ამასთანავე ერთად მით უფრო ვიწროდ იფარგლება ის საზოგადოებრივი წრეები, რომელთა ძალაზედაც ემყარება იმისი ბატონობა. რეაქციის გაძლიერებასთან ერთად სიმახვილის მხრივ იზრდება საოპოზიციო წრეების ფარგალიც. რეაქციის ბატონობა რომ გაჩერებული იყოს ერთს წერტილზე, თუნდაც ეს წერტილი ოქტომბრისტების მემარცხენე ფრთაზე იმყოფებოდეს, მდგომარეობა გაცილებით უფრო ნაკლებ სანუგეშო იქნებოდა, ვიდრე ეხლა, როცა რეაქცია შეუჩერებლივ მარჯვნივ მიიწევს. რეაქციის თითოეული ახალი ნაბიჯი მარჯვნივ ამასთანავე ერთად მოასწავებს ოპოზიციის პოტენციალურ ძალების გაფართოვებას, ე. ი. რეაქციის მიახლოვებას თავის აღსასრულამდე. უცნობი იდუმალი ძალა მედგრად ეწევა უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში პოლიტიკურ ბატონობის ცენტრს მარჯვნივ, ამ ძალასთან შეგუებას და გვერდის გასწორებას სცდილობენ ერთმანეთზე მოყოლებული კადეტები, მშვიდობიან განახლების პარტია, ზომიერი მემარჯვენენი, უკიდურესი მემარჯვენენი და სხვანი. სცდილობენ, მაგრამ დაქანცულნი და იმედდაკარგულნი ერთი-ერთმანეთზე უთმობენ თავიანთ ადგილს მარჯვენა მეზობლებს, ხოლო თითონ კი მძიმე-მძიმედ საოპოზიციო წრეებში გადადიან. პოლიტიკურ ბატონობის ოფიციალური გამომხატველი დაწესებულება, „გაერთიანებული მთავრობა" ე. ი. მინისტრთა საბჭო თან და თან ჰკარგავს მემარცხენე და ზომიერ საზოგადოებრივ წრეების და პოლიტიკურ პარტიების თანაგრძნობას და რჩება უფრო და უფრო ვიწრო მემარჯვენე წრეების თანაგრძნობის ამარა. ამ ევოლიუციის აზრი სამაგალითოდ გამოხატა ერთმა შავრაზმელმა გაზეთმა: მთავრობა სულ-ერთიან უნდა დაჰშორდეს საზოგადოებრივ ძალებს, განზე უნდა გაუდგეს და ისე იბატონოს მათზედ. ამ სიტყვებში სიმართლით არის გამოთქმული ის ბუნებრივი დასკვნა, საითკენაც ლოგიკურის აუცილებლობით მიეშურება რუსეთის პოლიტიკური მდგომარეობა. ვინ იცის, იქნება ოდესმე მომავალმა ისტორიკოსებმა შეურყეველ დოკუმენტალურ საბუთებით დაამტკიცონ, რომ რეაქციის დასაბამი სწორედ ამ აზრის ნიადაგზე შემდგარ ფარულ ორგანიზაციებში იმყოფება; ვინ იცის, იქნება აღმოაჩინონ, რომ ამ ორგანიზაციის იდუმალი გეგმაა ის შეუჩერებელი მოძრაობა პოლიტიკურ ბატონობისა მარჯვნივ, რომელიც ეხლა დღითი-დღე უფრო და უფრო სასტიკად გვაგრძნობინებს თავს რეაქციის გაძლიერებით.

ამგვარი გამოკვლევა მომავალს ეკუთვნის, ჩვენ კი დღეს მხოლოდ ის შეგვიძლიან აღვნიშნოთ, ჩვენდა სანუგეშოდ, რომ რაც უფრო მეტად დაუახლოვდება პოლიტიკური მდგომარეობა თავის ლოგიკურს და აუცილებელს დასკვნას, მთავრობის იზოლაციას საზოგადოებრივ ძალებისაგან, მით უფრო მოახლოვდება უკანასკნელი საათი რეაქციის მძვინვარებისა, თუმცა კი მით უფრო სასტიკი იქნება ეს მძვინვარება. უმაღლესი წერტილი რეაქციის გაძლიერებისა ამასთანავე ერთად შეიქნება იმის დასასრულის დასაწყისად. ამიტომ ეხლა, როცა სტოლიპინის სამინისტროს მემარჯვენენი ნაირ-ნაირ ქსელს უმზადებენ შიგ გასაბმელად, თუმცა უიმისოდაც სულის-შემხუთავ რეჟიმის უარესს გასასტიკებას უნდა ველოდეთ, მაგრამ მაინც სასოწარკვეთილება არ შეგვფერის; პირიქით, რაც უფრო ადრე გაივლით რეაქციის ყველა გზებს იმის უკანასკნელ წერტილამდე, მით უკეთესი, მით უფრო ადრე დავაღწევთ მას თავს.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

21 მაისი

### ოსმალეთი

**სტამბოლი.** 19 მაისს ევროპაში სახელმწიფოებთან განსაკუთრებული მისსია წავიდა. მისსია ევროპის სახელმწიფოებს ოსმალეთის ტახტზე ახალ სულთნის, მაჰმედ მეხუთის ასვლას გადასცემს.

**სოფია.** აღმოსავლეთის რკინის გზების შესახებ ბოლგარიის ნოტაში, რომელიც ოსმალეთის მთავრობას 19 მაისს გაეგზავნა, პროტესტია გამოთქმული: ოსმალეთის მთავრობა აგვიანებს, არ უნდა, რომ აღმოსავლეთის რკინის გზების საზოგადოებასთან მოლაპარაკება გაათაოსოს. ამასთან ნოტაში ნათქვამია: ბოლგარიის მთავრობამ პეტერბურგში იშუამდგომლა, რომ იმ დრომდის, სანამ ოსმალეთი აღმოსავლეთ რკინის გზების საკითხს არ გადასწყვეტს, რუსეთმა არ განახორციელოს რუსეთ-ოსმალეთის შეთანხმების განაჩენი ბოლგარიის შესახებ. ავტორიტეტულ წრეებში ამბობენ, რომ ბოლგარიის ნოტა გასწორის და ოსმალეთის მთავრობა აღმოსავლეთის რკინის გზების საკითხს მალე დაასრულებს.

**სტამბოლი.** მთავარს ეგვიპტეს ქედივი. ქედივმა მოსვლისთანავე სულთანი ინახულა.

### საზღვარ-გარედ.

**ბერლინი.** 19 მაისს, სადამოს 9 საათზე, ჰაეროსტატი „ცეპელინი" შემბერბერგის მახლობლად დაეშვა. ჰაეროსტატი 12 საათსა და 40 წუთზე აფრინდა და ფრიდრიხს-გაფენისკენ წავიდა. დილის 2 საათსა და 1 წუთზე ჰაეროსტატი „ცეპელინს" მანცელში ჩამოეშვა.

**სტოკჰოლმი.** გაზეთებში ვკითხულობთ: შვეცელმა ინჟინერმა ეგნერმა და გოლმეტრმა დიდი ხნის მუშაობის შემდეგ ისეთი მგრძნობიარე მიკროფონი გამოიგონეს, რომ ტელეფონით ლაპარაკი ეხლანდელზე ორჯერ მეტ მანძილზე შეიძლება.

**ბერლინი.** „ვოლფის" სააგენტოს სიტყვით, ხელმწიფე იმპერატორის მოწვევით გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი ივნისის პირველ რიცხვებში ბალტიის ზღვის ჩრდილოეთ ნაწილში გაემგზავრება. ამ მგზავრობის დროს ხელმწიფე იმპერატორი ინახულებს ვილჰელმს.

### რუსეთი

**პეტერბურგი.** 20 მაისს, დასავლეთ რუსეთის 9 გუბერნიის დეპუტაციის მიღების დროს, ხელმწიფე იმპერატორმა დეპუტაციას შემდეგი სიტყვებით მიმართა: „მოხარული ვიყავ, რომ დღეს დასავლეთ რუსეთის 9 გუბერნიის წარმომადგენლები უნდა მიმეღო. გულითად მადლობას გიძღვნით თქვენ და დასავლეთ რუსეთის გუბერნიების მცხოვრებლების ტახტის ერთგულობისა და ძვირფას სამშობლოს სიყვარულისთვის. ეჭველ გვარ ზომებს მივიღებ, რომ დაეკმაყოფილოს თქვენი შუამდგომლობა".

**ირკუტსკი.** სამხედრო სასამართლომ დაიწყო გარჩევა იმერ-ბაიკალის რკინის გზაზე 1905 წელს შემდგარ არალეგალურ ორგანიზაციების საქმისა. ამ ორგანიზაციებს ხალხის აღელვება ბრალდებათ. სამართალში მიცემულია 55 კაცი, გამოცხადდა 24 კაცი.

**ჰელსინგფორსი.** უმაღლესის ბრძანებით დანიშნული სენატორი რაუტაპია დეპუტატების არჩევნების გადასინჯვას შეუდგა. გუშინ სეიმის დეპუტატები შეიკრიბნენ და დეპუტატ ხოდბერგის თავმჯდომარეობით აირჩიეს თავმჯდომარე და მისი ორი ამხანაგი. სეიმის თავმჯდომარედ (64 ხმით) აირჩიეს სვინხუვუდი, (ახალგაზრდა ფინი), უფროს ვიცე-პრეზიდენტად (81 ხმით) სიროლა (სოციალისტი), მეორე ვიცე-პრეზიდენტად (11 ხმით) დისტო (ძველი ფინი). სეიმს ოფიციალურად გახსნიან ხვალ.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

**გზათა მინისტრი რუხლოვი.** „ბაქოში" ვკითხულობთ: „პეტერბურგში ხმა დადის, რომ გზათა მინისტრს რუხლოვს კავკასიის ნამესტნიკის ამხანაგად ნიშნავენო".

**სომხების დაპატიმრების შესახებ.** რუსეთის გაზეთების სიტყვით, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატს სალათელიანს 16 მაისს უნახავს პრემიერ-მინისტრი სტოლიპინი. სალათელიანს სტოლიპინისთვის გადაუცია, როგორ აპატიმრებენ სომხებს კავკასიაში და უთხოვნია, შეაჩეროს დაპატიმრება. გაზეთები არაფერს სწერენ იმაზე, თუ რა უპასუხა სტოლიპინმა.

**უცნაური სენი.** როგორც თიანეთის მაზრიდან იუწყებიან, იქ რაღაც საშინელი სენი მძვინვარებს და ბევრ ხალხსაც ასალმებს თურმე წუთი-სოფელს. ამ მაზრის მარტო ერთ სოფელში, დუმასტურში ბოლო ორი თვის განმავლობაში ამ სენს ოცდა-ჩვიდმეტამდე სული უმ-

სხვერპლნია. სხვა სოფლებშიაც ბევრი იხოცება. ეს სენი კაი ხანია მძვინვარებს და ბევრი ხალხიც იმსხვერპლა, მაგრამ უპატრონო სოფლებს ყურადღებას არავინ აქცევს.

✦ **მოპარული საქონელი.** ვოგზლის ქუჩაზე პოლიციის მე-10 ნაწილის მოხელეებმა დააპატიმრეს დ. ხონის მცხოვრები დავით ქუთათელაძე, რომელსაც მიხეილ კოხტაძესა, ალექსანდრე კოდილაძესა და სევერიან კუჩავასთან ერთად 8000 მანეთის ტყავეულობა მოუპარავს სონაძის მაღაზიიდან. მოპარული საქონელი ჩამოუტანია ტფილისში და აქ უპირებდა გასაღებას.

✦ **ბანკის რწმუნებულთა კრება.** ხვალ, 23 მაისს, დაიწყება წლიური საზოგადო კრება ტფ. სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულებისა.

✦ **თავად-აზნაურთა კრება.** ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წლიური საზოგადო კრება, როგორც გადმოგვცეს, მოხდება ივნისის პირველ რიცხვებში.

✦ **მიტრიდატ მეფის სურათი.** გუშინ პეტრე გელეიშვილმა წერა-კითხვის საზოგადოებას წარუდგინა საინტერესო ისტორიული ნაშთი—პატარა, ხელის გულის ოდენა, რგვალი ქვა, რომელზედაც დახატულია საუცხოვო სურათი მეფე მიტრიდატ მეთხუთმეტესი. გარეშემო სურათს ბერძნულად აწერია: „მეფეთა შორის დიდებული პანტიკოპის მეფე მიტრიდატ მე-15-ე." ეს ქვა უპოვნიათ 1903 წელს სამეგრელოში, ახალ-სენაკის მახლობლად, მდინარე ტეხურში. ტეხურს კალაპოტი გამოეცვალა და ერთ ადგილას რკინის გზისთვის სთხრიდნენ თურმე ქვიშას. ეს ქვა სამი-ოთხი საჟენის სიღრმეზე ყოფილა. როდესაც ქვიშა სამტრედიის სადგურზე მიუტანიათ და სცლიდნენ, მუშებს შეუმჩნევიათ იგი. იქვე მყოფ სადგურის უფროს ალექსანდრე ბაქრაძეს ექვს შაურად უყიდნია ქვა და ეხლა გამოუგზავნია პ. გელეიშვილისთვის.

✦ **აკაკის ფონდი.** აკაკის ფონდის სასარგებლოდ ჩვენმა რედაქციამ მიიღო მიხეილ გიორგაძისაგან 3 მან. 92 კ. შემომწირველნი: ათანასე ჯვარიშეიშვილი—1 მ. 52 კ., ნ. თავდგირიძე -1 მ. 50 კ. და მიხეილ გიორგაძე—90 კ.

✦ **სემინარიის შენობა.** ამ დღეებში, ტფ. ქალაქის გამგეობის განკარგულებით, განსაკუთრებულმა სასანიტარო კომისიამ დაათვალიერა ტფ. სასულიერო სემინარიის სადგომი. კომისიამ შემოწმების ოქმი შეადგინა და წარუდგინა გამგეობას, რომელიც ოქმს განიხილავს ამ დღეებში. კომისიას პანსიონერთა სასადილოები და მოსამსახურეთა ბინები ანტისანიტარულ მდგომარეობაში უნახავს. კომისია თავის დადგენილებაში სწერს, რომ სემინარიას მთავრობამ მოსამსახურეთა ბინებისა და სასადილოსათვის აუცილებლად სხვაგან უნდა იშოვნოს სადგომი. საზოგადოდ, მთელ შენობას დიდი შეკეთება უნდა. ამას წინად სემინარიის მთავრობის შუამდგომლობით საქართველოს ეგზარხოსის მოადგილემ ქართლ-კახეთის სამღვდელოების კრებას წინადადება მისცა, სემინარიის შესაკეთებლად გადაედო 90,000 მან. სამღვდელოების დეპუტატებმა უარ-ჰყვეს ეს წინადადება, ასე რომ სემინარიის სადგომი ისევ ძველს პირობებში დარჩება. ძალიან უცნაურ პოლიტიკას ეწევა სასულიერო მთავრობა. მეთხე წელიწადია ვაკეში ახალი შენობა აგეს სემინარიისათვის და დღემდე სემინარია არ უნდათ გადაიტანონ. პირიქით სამღვდელოებას ემუქრებოდნენ, თუ თქვენ სახლს პუშკინის ქუჩაზე არ მოგვცემთ, ახალ შენობას საპატიმროების მოსათავსებლად გავყიდითო. ეს აზრი არ განხორციელდა, რადგან საპატიმროთა უწყებამ უარ-ჰყო სასულიერო მთავრობის წინადადება.

✦ **მასწავლებელთა გადადგომა.** 15 მაისს, „ტ. ლ."-ს სიტყვით, ეჩმიაძინის სომეხთა აკადემიის მასწავლებლებს, ერთის გარდა, განცხადება შეუტანიათ სამსახურიდან გადადგომის შესახებ. გაზეთი არ გადმოგვცემს მიზეზს.

✦ **მსახიობი სვიმონიძე.** მსახიობი ბ. ს. სვიმონიძე კარგა ხნის მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ძლიერ დასუსტებულა. ექიმების სიტყვით, აუცილებლად ესაჭიროება დასასვენებლად წასვლა აგარაკზე, მაგრამ უსახსრობის გამო ამის შეძლება არ აქვს. 20 წელიწადია ემსახურება ქართულ სცენას და ახლა, როგორც გადმოქვცეს, ამავე სცენის მუშაკთ მიუხედავთ მის მდგომარეობას. ქართველ მსახიობთა ამხანაგობას, რომელიც ტფილისში მუშაობს, დაუდგენია, ერთი წარმოდგენა მის სასარგებლოთ დასდგას. იმედი გვაქვს, საზოგადოება თავის წვლილს არ დაიშურებს, რომ წლის ნამოღვაწარი დაუფასოს ქართულ სცენის მუშაკს. კარგი იქნებოდა აგრეთვე, რომ პროვინციაში გამგზავრებული დასი მსახიობთა თავის მხრივ გაუწევდეს დახმარებას წარმოდგენის დადგმით (ჩვ. ხ.)

✦ **რევიზია.** „რუსკ. სლოვოს" სიტყვით, ბაქოში განსაკუთრებული კომისია ჩასულა ზოგიერთ დაწესებულებათა სარევიზიოდ.

✦ **ახალი გაზეთი.** „ტიფ. ლ." სწერს: ქართველ და სომეხ ინტელიგენტთა ჯგუფი ფიქრობს ახლო მომავალში გამოსცეს ახალი ქართული გაზეთი „ხალხის ხმა.". გაზეთს აზრად ექნება კავკასიაში მცხოვრებ ხალხთა დაახლოვება.

✦ **კახეთის რკინის გზა.** „ბაქუს" პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: კახეთის რკინის გზის გაყვანას 1910 წლის გაზაფხულზე დაიწყება. რკინის გზის გაყვანა მომიწვეულია ინჟენერი ანდრიანოვი.

✦ **არტისტის მ. ავალიან-ს გარდაცვალება.** ბაქოში გარდაიცვალა სომეხი არტისტი მ. ავალიანი, განსვენებული უმეტეს ნაწილად სომეხთა ტფილისის სცენაზე თამაშობდა.

✦ **ისტორია ქართველთა ათონის მონასტრისა.** თავ. პავლე თუმანიშვილს საპირო თანხა გადაუდვია ძველ ათონის ქართველთა მონასტრის ისტორიის გამოსაცემად. ბეჭვდას უკვე შესდგომიან. (ზ.)

✦ 20 მაის პოლიციამ მე-2 ნაწილში დააპატიმრა ვასილ ბიძინაშვილი, რომელიც საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლების შემდეგ ტფილისში დაბრუნებულა და მელიტონ ლოლობერიძის პასპორტით სცხოვრობდა. ამავე დღეს პოლიციის მე-7 ნაწილში დააპატიმრეს მელიქ-არუთინოვი, პოლიციის მე-8 ნაწილში ნიკოლოზ სუკიასოვი და ივანე ტრეტიაკოვი, რომელნიც გადასახლების შემდეგ დაბრუნებულან, ამათგან მელიქ. არუთინოვი ორჯელ ყოფილა გაგზავნილი ტფ. საგენერალ-გუბერნატოროდან და ორჯელვე გამოქცეულა. რამდენჯერმე საპატიმროშიაც ყოფილა სხვა და სხვა საქმეებისთვის. გაჩერეკის დროს არუთინოვს აღმოაჩნდა 2 პასპორტი დავით პეტრიაშვილისა და მეორე ტერ-სტეფანოვისა.

✦ 20 მაისს, დილის 6 საათზე, მე-8 ნაწილის ბოქაულს ნიკოლოზის ქუჩაზე შეუნიშნავს სამი საეჭვო კაცი, რომელნიც ეტლს მიაჩქანებდნენ. პოლიციელებმა მოსთხოვეს მეეტლეს, გაჩერებულიყო. უცნობები მსწრაფლვე გადმოხტდნენ ეტლიდან და აქეთ-იქით გაიქცნენ. პოლიციელები გამოუდგნენ გაქცეულებს და დააპატიმრეს ოჰანეს მელიქ მათეოსიანცი და ჰასკან თათეოსიანცი. დაპატიმრებულებს აღმოაჩნდათ 32 პატრონა; რევოლვერები გადაეყარათ.

## ქ უ თ ა ი ს ი

✦ **ქალაქის ბაღი.** ქუთაისს ერთად-ერთი ბაღი აქვს, ბულვარად წოდებული, სადაც „ტვირთმძიმენი და მაშვრალნი", რომელნიც კვირიდან-კვირამდე ჭაპან-წყვეტას ეწევიან, მხოლოდ უქმე დღეებში „ეძიებენ ადგილს განსასვენებლად". მაგრამ ამ დღეებშიაც არა სცალია მათთვის ბ ღ. გაიხედავ და თვალწინ აგეტუზება ვეებერთელა განცხადება: აჰა ამ დღეს, ნაშუადღევის 4—5 საათიდან ქალაქის ბაღში გაიმართება ფასიანი სეირნობაო. ფასის გადახდა კი ღარიბ ხალხისათვის, კარგად მოგეხსენებათ, ძნელია. საღამოს 4—5 საათიდან ბაღის დაკეტვას კიდევ არაფრად აგდებდა კაცი, მაგრამ ახლა ახალი წესი შემოიღეს: დილიდანვე ბაღის ჭიშკრებს ჰკეტენ, და თუ ვისმე შეუშვებენ, მხოლოდ არჩევით—ვინც მოეწონება სეირნობის გამგეს. ასეთი უსამართლობა საზოგადოებაში დიდსა და საფუძვლიან უკმაყოფილებას იწვევს, მაგრამ დაბალ საზოგადოების უკმაყოფილებას, სჩანს, არაფრად აგდებენ ამ საზოგადოების სათავეში მდგომნი.

✦ **თავად-აზნაურთა კრების გადადება.** თავად-აზნაურთა მორიგი კრება, რომელიც 19 მაისს უნდა მომხდარიყო, სრულიად მოულოდნელად მდგომარე წლის დეკემბრისათვის გადაიდო. ამ გარემოებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია განსაკუთრებით შორეულ მაზრებიდან ჩამოსულ თავად-აზნაურებში, რომელთათვისაც ზამთარში ქუთაისში ჩამოსვლა შეუძლებელია.

✦ **ქალაქის თავი ტფილისში.** ქალაქის მოურავი დ. ა. ლორთქიფანიძე გამგეობის დადგენილებით ტფილისს გაიგზავნა ქალაქის სხვა და სხვა საქმების გამო.

✦ **ანგარიში ქართულად.** სადგილ-მამულო ბანკის სარევიზიო კომისიის მოხსენება ქართულადაც დაიბეჭდა და ურიგდება ბანკის რწმუნებულთ.

✦ **ქალაქის საბჭო.** 19 მაისს მოხდა ქალაქის საბჭოს მორიგი კრება. თავმჯდომარეობდა ქალაქის მოურავის მოადგილე ი. ს. ფანცხავა. გამგეობას საჭიროდ დაუნახავს მოხუცების გამო სამსახურიდან დაითხოვოს ქალაქის ბაღის მცველი ზ. მიქაძე, რომელსაც 25 წელი უმსახურნია ამ ადგილზე. საბჭომ ფარულის კენჭის ყრით ერთხმად დაადგინა, დაუნიშნოს მიქაძეს პენსიად თვეში 12 მანეთი (ჯამაგირად იღებდა 24 მანეთს). დიდი კამათი და უსიამოვნება გამოიწვია აგენტების თხოვნამ შესახებ იმისა, რომ შემცირებული პროცენტული ჯილდო ეძლიათ მათთვის არა პირველ იანვრიდან მდგომარე წელსა, როგორც სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვაშია შეტანილი საბჭოს მიერ, არამედ იმ დროიდან, როდესაც ქალაქის საქმეთა საკრებულომ დამტკიცა საბჭოს დადგენილება, ე. ი. აპრილის უკანასკნელ რიცხვებიდან. ხანგრძლივ კამათის შემდეგ, რომლის დროსაც ბევრი უადგილო და უმართებულო სიტყვა წარმოითქვა, კრებამ, კენჭის ყრით, 18 ხმის უმეტესობით 4-ის წინაამდეგ, უყურადღებოდ დასტოვა აგენტების თხოვნა. საბაზრო კომისიის წევრად აირჩიეს ი. ტ. მოწონელიძე (ნაცვლად ტ. ს გველესიანისა, რომელიც ქუთაისში არ იმყოფება). სახაზინო პალატის საზოგადო საკრებულოს წევრის მოადგილედ აირჩიეს—ნ. ს. ბარამაძე; სავაჭრო გადასახადის გამწესრიგებელ საკრებულოში არჩეულ იქმნენ წევრებად: მ. ი. კასუმოვი, ი. ტ. მოწონელიძე და ნ. ქ. მახარაძე, მათ მოადგილედ—მ. ი. ჭავჭანიძე. თანახმად ქალაქის ბეითლისა მოხსენებისა, დადგენილ იქმნა, რომ ფარულად დაკლული საქონელი ჩამოერთვათ პატრონებს და გაიგზავნოს ტუსაღებისთვის საგუბერნიო საპყრობილეში.

✦ **[illegible] კონცერტი ქუთაისში.** 23 [illegible] ქუთაისის თეატრში გაიმართება კონცერტი ვიოლონჩელის დამკვრელის ილია აბაშიძისა, მომღერალ ქალის ვილემსის და პიანისტის გოლუბკინის მონაწილეობით.

✦ ქალაქის საბჭოს მიერ არჩეულმა საგანგებო კომისიამ შესცვალა იჯარით გაცემულ ადგილების შესყიდვის პირობათა ზოგიერთი მუხლი ახალ პირობების მიხედვით. ადგილების შეიძვა საკმაოდ გაადვილებულია.

## მოსკოველ მხატვართა სურათების გამოფენა

რამდენიმე კვირაა, რაც ტფილისში გაიხსნა სურათების გამოფენა მოსკოველ მხატვრებისა. როგორც ახალმა რამემ, არა ჩვეულებრივმა, ამ გამოფენამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია საზოგადოებაში. თითქმის ყველა ადგილობრივმა გაზეთმა ამოიღო ხმა ამაზე; მომეტებულმა, სამწუხაროდ, ზერელედ შეჰხედა გამოფენას, გაჰკიცხა კიდეც და სრულებით არ ჩაუკვირდა გამოფენის ზოგიერთ ახალ მხარეს.

როგორც დიდი ხნის ავადმყოფი, ლოგინად ჩავარდნილი, ჩაკეტილ, დახშულ ოთახში, მარტო თავის სნეულ გონების ამარა მყოფი, სულ იმას გაჰხარის: „დაკეტეთ, დახშულეთ კარები, საიდანაც ნიავი უბერავს და გავცივდებიო", ისე იქცევიან ჩვენებურ პრესის ზოგიერთი მესვეური.

ლანძღვით ყველას გადააჭარბეს „ტიფ. ლ."-ს და „გოლოს კავ."-ს თანამშრომლებმა. ისინი აშკარად ილანძღებიან და გაჰკივიან: „არ გვინდა თქვენი „ახალი მხატვრობა", მოგვაშორეთ თავიდან! რა უჭირდა ჩვენს ძველს ჩვეულებრივს? როგორც გვიწირავს, ისევ ისე უნდა ვწიროთ!" ეს არ იკმარეს და იმათ, ვინც ითავეს ამ გამოფენის მოწყობა, აფერისტები და გაიძვერები დაუძახეს.

ამ გამოფენაში მომეტებულად დიდად დამსახურებული და სახელოვანი მხატვარნი იღებენ მონაწილეობას და მიუხედავად იმათ ღვაწლისა, ლანძღვა-კრულვით იხსენიებენ.

ხელოვანი მხატვარნი არხიპოვი, პას-

---

# ტრაგიკული გრძნობა ქართულს პოეზიაში

**ტრაგიზმი ილია ჭავჭავაძის პოემებში: „განდეგილი" და „მეფე დიმიტრი თავდადებული".**

(დასასრული *)

### 16.

თანამედროვე ადამიანის აზროვნებასთან დიმიტრი თავდადებული ბევრად უფრო ახლო სდგას, ვიდრე განდეგილი. მისთვის სააქაო არსებობა არის არა მხოლოდ შესავალი საიქიო ცხოვრებაში, ამ ქვეყნიური ცხოვრება არის არა წარმავალი და უმნიშვნელო პრელუდია ნამდვილ, საუკუნო ყოფნისა და ნეტარებისა, არამედ დამოუკიდებელი ასპარეზი მოქმედებისა, რომელსაც თავისი აბსოლუტური გარდაუვალი მნიშვნელობა და ღირებულება აქვს. საქართველოს ისტორიაც მოგვითხრობს, რომ მეფე დიმიტრის ესმოდა წუთი-სოფლის და მის სიტკბოებათა ფასი, რომ ის არ შედრკა თავის სურვილთა დასაკმაყოფილებლად წინ გადაედგა ისეთი ნაბიჯიც კი, რომელიც ქრისტიანულ სარწმუნოების მიერ ნება დაურთველია და მაშასადამე, დიდს ცოდვად ითვლება; მაგრამ ამასთანავე ის იღწოდა თავის ქვეყნის აღორძინებისთვის და წარმატებისთვის და ბევრიც მოარიგა ამ მხრივ. და თუმცა მგოსანმა ისტორიული პიროვნება მშვენიერ ფანტაზიის ბურუსში გაახვია და ამით იგი პოეტურ ქმნილებად გარდააქცია, არსებითად მაინც შეანარჩუნა ეს ძირითადი თვისება ხასიათისა.

ამქვეყნიურ არსებობის ბნელს და დუხჭირს მხარეებს დიმიტრი თავდადებული ისევე კარგად ჰხედავს, როგორც განდეგილი: მაგრამ მაშინ როცა ამ უკანასკნელს აქედან ის დასკვნა გამოჰყავს, რომ ერთად-ერთი გამოსავალი განყენება და პიროვნულ ხსნისთვის ცდა და მზადებაა, მეფე დიმიტრი თავის წარჩინებულ დანიშნულების უდიდეს მიზანს იმაში პოულობს, რომ ხელი შეუწყოს ბედნიერების და სიკეთის გამარჯვებას უბედურებასა და ბოროტებაზე; ის სცდილობს ტვირთი შეუმსუბუქოს და თანამშრომლობა გაუწიოს თავის სამეფოს არა ლოცვა-ვედრებით, არამედ პირადის მონაწილეობით იმ საერთო კულტურულს მუშაობაში, რომელსაც აწარმოებს სოციალური ერთეული:

> ღამით თურმე ჩაიცვამდა
> უბრალო კაბა-ჯუბასა,
> წავა და ინახულებდა
> საწყალის ხალხის უბანსა.
> მოივლიდა ქვრივს და ობერს,
> დავრდომილსა და ობოლსა,
> თავის ხელით ურიგებდა
> მოწყალებას და საზრდოსა.

წინააღმდეგ განდეგილისა მეფე დიმიტრის ტრაგიზმი გამომდინარეობს არა იმის სულიერ შინაგნობიდან, არამედ უმეტეს ნაწილად იმ გარეგნულ მდგომარეობიდან, რომელშიაც ის ჩააყენა ისტორიულმა ბედისწერამ; ეს არ არის ტრაგიზმი გაორკეცებულ, დისჰარმონიულ შეგნებისა, რომელიც თავისსავე თავთან ბრძოლაში იქანცება და იღუპება; ეს არ არის ტრაგიზმი ადამიანისა, რომელიც საშიშ კონფლიქტების საფრთხეს თავისსავე ბუნებაში ატარებს: თავის სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდი, თვით ისეთს მომენტებში, როცა უძლიერესი პიროვნებაც კი ქედს იხრის გარეშე ძალის წინაშე, მეფე დიმიტრის არ უღალატნია თავის თავისთვის, ოდნავადაც არ დაუთმია ის, რისთვისაც გადასწყვიტა თავი დაედო. ეს სრული ჰარმონია თავის თავთან, შერჩენა ერთხელ არჩეულს გზაზე, კაჟისებური სიმტკიცე ნებისყოფისა, ვაჟკაცური ქცევა თვით გულის აჩუყებასა და ტანჯვაში განსაკუთრებულს ელფერს აჩენს ამ ტრაგიკულ გმირის ბუნებას, რომელიც მთელს თავის სიდიადეს სწორედ გარეგნულ დამოკიდებულებათა მიერ შექმნილს საფრთხეში შლის.

პირველი მოქმედება დრამისა, რომელსაც უძლეველის აუცილებლობით მოსდევს დიმიტრი თავდადებულის დაღუპვა. არსებითად შორეულს უცხოეთში სწარმოებს, მისი ნებისყოფისაგან სრულიად დამოუკიდებლად. რასაკვირველია, როგორც ყოველ ნამდვილ ტრაგიკულ გმირის, ისე რამდენიმედ მისი პირადული თვისებებიც უწყობენ ხელს ტრაგიკულ მდგომარეობის შექმნას: მას რომ თავის დროზე მდგომარეობა აეწონა, ეღალატნა თავის მოკავშირისათვის და უფრო ძლიერს მოწინააღმდეგეს მოსდგომოდა, თავს აიკილებდა გამარჯვებულ ყეენის წყრომასაც და საჭირბოროტო განსაცდელსაც. მაგრამ საშიშარ მდგომარეობას სწორედ ის ამწვავებს, რომ მეფე დიმიტრის არ ძალუძს უღალატოს თავის თავს, თავის ერთხელ მიცემულს სიტყვას:

> მეფე ჩვენი ყეენს თურმე
> არ გადუდგა სხვასავითა...
> ვაჟ-კაცის წესი არის
> კაცს შერჩება ძმასავითა.

ამ შეუდრეკლობას, ერთგულებას წინდასმულ მიზნის მიღწევაში, არა ჩვეულებრივ სულიერ მთლიანობას იგი იჩენს შემდეგაც, განსაკუთრებით ორს კრიტიკულს მომენტში: პირველად როცა თავის სამშობლოს ეთხოვება, სამუდამოდ სტოვებს უკან მომტირალ ხალხს და შემდეგ გააფთრებულ ყეენის წინაშე, როცა ის თავის მსაჯულად თავისავე სინიდისს სცნობს და ამასთანავე ეთიკურ ნებისყოფის სრულს დამოუკიდებლობას აღიარებს; აქ ის უახლოვდება თანამედროვე მორალურ შეგნების იმ მიმართულებას, რომელიც ადამიანის უდიდეს დანიშნულებას ჰხედავს უფრო შინაგან განთავისუფლებაში და სულიერ დამოუკიდებლობის მოპოვებაში, ვიდრე გარეგნულ ბორკილების დამტვრევაში; ყეენის წინაშე თავის შეცოდების შეინანებით სასჯელის სისასტიკის ყოველს შემთხვევაში უფრო შეიმსუბუქებდა, ვიდრე თავის საქციელის იმ ამაყ დადასტურებით, რომელშიაც გამოიხატა მთელი მისი სტოიკური გულგრილობა გარეგნულ ბორკილებისა და წვალებისადმი:

> შენ წინ მოთქმა რას მიჰქვიან?
> რას მიჰქვიან შენანება?
> ჩემი გამკითხველი არი
> ნამუსი და ჩემი ნება.

თავის სტოიკურ ბუნებას და მსოფლიო მხედველობას ის არა ღალატობს შემდეგაც, როცა აუტანელი ტანჯვის შემდეგ შეძლება ეძლევა გაიპაროს საპყრობილედან და ბოლოს თავის მოკვეთის დღეს, როცა ის ერთი წუთის ყოყმანის შემდეგ, რაც ასე ადვილად მოსალოდნელია ყოველ ადამიანის შვილისაგან, თავს უწვდის ჯალათს და ამით ბოლოს უდებს თავის ტრაგედიას, რომელსაც მის შინაგან მთლიანობაზე სრულიად დაღი არ დაუჩენია.

უდიდესი ღირებულება, რომელსაც თავი შესწირა დიმიტრი თავდადებულმა, არის ეროვნული თვითარსებობა. წინააღმდეგ განდეგილისა, რომელიც უდიდეს საუნჯედ ინდივიდუალურ შეგნებას სთვლის, იმის იდეალს სოციალური და სააქაო მნიშვნელობა აქვს: ისტორიულად აღმოცენებული ეროვნული კულტურა, ამ ქვეყნიური კეთილდღეობა სამშობლო ქვეყნისა, თავისებურება აზროვნებაში, რწმენაში და გარეგნულ არსებობაში—აი ის განძი, რომლის დასაცველად იბრძვის და ბოლოს იღუპება მეფე დიმიტრი. თვით პირად უკვდავებას ის ამ სოციალურ თვალსაზრისით უცქერის: მისთვის ინდივიდუალური უკვდავება არსებობს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ადამიანის სულიერ შემოქმედების ნაყოფი რეალურ ძალად რჩება მომავალ თაობათა ხსოვნაში და ხელს უწყობს მათ წინსვლას ამ ქვეყნიურს ცხოვრებაში:

> მაშ რად არის მეფე მეფედ,
> თუ არ ქვეყნის ჭირთა მძლეა?
> თუნდაც მოკვდეს ქვეყნისათვის,
> ეს სიკვდილი სიცოცხლეა.
> არ არის მკვდარი, ვინც მოკვდეს
> და ხალხს შესწიროს დღენია,
> მკვდარად ის თქმულა, ვისაც აქ
> სახელი არ დარჩენია.

მაშინ როცა მწირის უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ თვით მის სულიერს **შინაგნობაში** აღმოჩნდა ისეთი ძალა, რომელიც სავსებით ეწინააღმდეგება მის ლტოლვას წმინდანობისა და ცხონებისადმი, დიმიტრი თავდადებულის ტრაგედია წარმოიშვა მხოლოდ იმიტომ, რომ იმის სამშობლოს მეზობლად აღმოჩნდა ტლანქი **გარეგნული** ძალა, რომელიც სრულიად არა სცნობს მის მიერ მიმჩნეულს ღირებულებას ღირებულებად და განადგურებასაც უქადის მას. ამ გარეგნულს ძალასთან შეტაკებაში იღუპება მეფე დიმიტრი. ამიტომ მისი ტრაგედია არის ტრაგედია მოქმედებისა, ისევე როგორც „განდეგილი" სულიერ ბრძოლის დრამაა.

### 17.

საზოგადო ანალიზი ტრაგიკულ გრძნობისა უფრო ადვილი შესაძლებელია მას შემდეგ, რაც ჩვენ გავეცანით მის საუკეთესო კონკრეტულ გამოხატულებათ ქართულს პოეზიაში: ნ. ბარათაშვილის ლირიკას და ი. ჭავჭავაძის პოემებს. ეს რთული, მაგრამ მასთან ერთად მთლიანი ესთეტიური გრძნობაა, როგორც ჩვენ ზევით ვთქვით; მაგრამ ელემენტი, რომელიც მასში სჭარბობს და რომელსაც ყველაზე ადრე მიაქცია ყურადღება ესთეტიკამ, არის გრძნობა ტანჯვისა: ტრაგიზმის ამ აუცილებელ შემადგენელს ელემენტზე უკვე არისტოტელმა მიუთითა თავის „პოეტიკაში". ჩვენ დავინახეთ, რომ ეს გრძნობა ტანჯვისა, არა მცირე და უმნიშვნელო, არამედ იმდენად ძლიერია და დემონისებური, რომ მისი ძალა განადგურებას უქადის თვით ინდივიდუალობას, აშკარად გამოიხატა ქართულს პოეზიაში: ბარათაშვილს სტანჯავს ლტოლვათა უსაზღვრობა, განდეგილს—სულიერი გაორება, დიმიტრი თავდადებულს—ულმობელი, სისხლის მწყურვალე მტრის შურისძიება. ამასთანავე ეს გამანადგურებელი გავლენა ტანჯვისა იმდენად აუტანელია, რომ, როგორც ყოველთვის, ისე აქაც, ამ ტრაგიკულ გმირთა არსებობა ინდივიდუალობის მოსპობით თავდება ან ამ მოსპობას გვამცნევს ერთად ერთს შესაძლებელ დაბოლოებად.

მაგრამ ცხადია, რომ მარტოდ-მარტო ტანჯვას არ ძალ-უძს გამოიწვიოს ტრაგიკული შთაბეჭდილება:

---

*) იხ. „დროება", N 109

ტერნაკი, ბარონ კლოდტი, იუონი და სხვანი არა მარტო რუსეთში, საზღვარ-გარედაც კარგად არიან ცნობილნი. თუმცა მათ ამ გამოფენაზე დიდი „სურათები“ არ გამოუფენიათ, მაგრამ მათი ეტიუდები დიდად ხელოვნურია და ესტეტიურ გრძნობას ჰგვრის მაყურებელს.

რაც შეეხება ლარიონოვს, გონჩაროვს, უერმანს და კიდევ სუდეიკინს, სწორედ ესენი არიან ამამტუტებელნი ზემოხსენებულ გაზეთების თანამშრომელთა მიჩლუნგებულ გემოვნებისა. ამათ ნაწარმოებში არის ის ახალი სიო, რომელიც აბრაზებს ხამ მაყურებელს ჩვენში, მხოლოდ ევროპაში კარგა ხანია შეეჩვივნენ და საპატიო ადგილიც დაუთმეს. ამათში უფრო ლარიონოვი სჭრის თვალს თავის „ჰყეტილა ფერადებით“. როცა ჩვენებურ უფერულ სურათებზე აღზრდილი ადამიანი პირველად დაინახავს ლარიონოვის სურათს, შეხტება და შემოტრიალდება. მალე ვერ მოვა გონს, მაგრამ... ცხოვრება წინ მიდის და ახალ-ახალი მიმართულება ჩნდება.

ვისაც ევროპაში თვალ-ყური უდევნებია გამოფენისთვის, იმას ამ ნაირ „დეკადენტურ“ სურათის ნახვა არ გაუკვირდება. ამ მიმართულებამ ისე მაგრა მოიკიდა იქ ფეხი, რომ თვით საფრანგეთის სატახტო ქალაქმა პარიზმაც კი შეიძინა ამ ახალ მიმართულების სურათები და თავის სასახელო ლიუქსენბურგის მუზეუმში გამოაფინა.

ამ გამოფენაზე ბევრი ახალგაზდა მოსწავლე მხატვარი იღებს მონაწილეობას და საუცხოვო ნიმუშებიც აქვთ გამოფენილი. ასეთები არიან გერასიმოვი, სავინი და სხვანი.

რაც შეეხება ჩვენ თანამემამულეთ, ახალგაზდა მხატვართ მესხს, ციმაკურიძეს და არაქელიანს, უნდა აღვნიშნოთ, რომ მათ დიდი წარმატება ეტყობათ. საუცხოვოა მესხის ქალის პორტრეტები, ციმაკურიძის ეტიუდები და არაქელიანის „ღამის საიდუმლოებანი“.

ჩვენის ღრმა რწმენით, დიდი მადლობის ღირსნი არიან მოთავენი ამ გამოფენისა; რომელთაც დაგვანახვეს და გაგვაცნეს როგორც ცნობილი ხელოვანნი რუსეთის სკოლისა, ისე ახალი მიმდინარეობა მხატვრობაში.

ა. მ.

# მოწერილი ამბები

**გორი.** ამ თვის ათში ადგილობრივმა პოლიციამ დაიბარა მიკიტნები (სულ ოთხმოცამდის იქნება) ქალაქის თვითმმართველობის დარბაზში და გამოუცხადა: „თუ გინდათ დუქნების გაღება ისე, როგორც თქვენა გსურთ, მოგცემთ ნებას იმ პირობით კი, რომ თქვენის ხარჯით დაიქირაოთ 6 „გოროდოვოი“. ბევრი ყოყმანი არ დასჭირებიათ, აღუთქვეს პირობის ასრულება. მას შემდეგ სამიკიტნოები იკეტება სადამოს თერთმეტ საათზე, კვირაობით კი იღება შუადღის 12 საათზე. ასე რომ აუსრულდათ მიკიტნებს გულის წადილი, რისთვისაც იხდიან თორმეტ თუმანს თვეში 6 „გოროდოვოისთვის“. წინად კვირაობით მთელი დღე დაკეტილი იყო სამიკიტნოები, დანარჩენ დღეებში კი 9 საათზე ჰკეტავდნენ.

გორი იმითაც ნუგეშობს, რომ მალე მთელ ქალაქს ელექტრონის ფარნებით გაანათებენ. სულ 47 ელექტრონის ფარანი იქნება. ბოძები დადგმულია და მავთულები გაბმულია, მხოლოდ ფარნების დაკიდება და აკლია. ფარნების ფული ხალხზეა გაწერილი, თვიურად, აბაზიდან ხუთ მანეთამდე. ფულის მკრებას შეუდგნენ, სულ ოთხი მკრებავი ჰყავთ, მაგრამ ბევრი უარზე სდგას და აბაზის მიცემა არა სურს, რაზედაც მკრებავებს დიდი შფოთი და დავიდარაბა უხდებათ ყოფილა ისეთი შემთხვევაც, რომ მუშტი და წიხლიც უხმარიათ...

აქ 1907 წელს დაარსდა საურთიერთო ბანკი, მაგრამ გარეშეებმა ამ ბანკისა ვერა გაიგეთ-რა. ამ ორი თვის წინად მოხდა არჩევნები. უნდა აერჩიათ დირექტორი. არჩევნებზე გარეშე კაცს არ უშვებდნენ. ის გავიგეთ მხოლოდ, რომ ერთხმად აერჩიათ გიგო კაპანაძე.

ქალაქის თვითმართველობას ნუღარ იკითხავთ. თუ გნებავთ გაიგოთ ჩვენი ხმოსნების ვითარება, საკმაოა დაესწროთ რომელსამე სხდომას, სადაც ზოგს სკამებზედ სძინავს და ზოგსაც ამთქნარებს. აქ კი რა უნდა გააკეთონ მეტი? სამი თვეა სამეფო ქუჩაზე არხებს აკეთებენ ცემენტით. ისეთია ქუჩა, რომ კაცს არ გაევლება, კოჭებამდის იფლობა კაცი მტვერში, რადგან წყალი არ მოდის, რომ მორწყონ, ოსტატები კი მეტად ნელა მუშაობენ. კარგი იქნება, ცოტა დააშურონ ეს საქმე.

კვირას, 17 მაისს, გორში ორიოდე ინტელიგენტის თაოსნობით გადაიხადეს პანაშვიდი ბელეტრისტის ეგნატე ნინოშვილის სულის მოსახსენებლად. საზოგადოება ძალიან ცოტა დაესწრო. მიზეზი ის იყო, რომ თავის დროზედ ვერ შეატყობინეს. ნ. ლომაურმა გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა; მკაფიოდ და გარკვევით დაუხატა დამსწრეთ ეგნატეს ცხოვრება და მოღვაწეობა.

ცოტა რამ სოფელზე. 17 მაისს სოფელ კარალეთში მეავადა ფერშალი ჩემ მოკეთე ავადმყოფთან. მივედით თუ არა სოფელში, ელვასავით მოედო მთელს სოფელს, „დოხტური“ მოვიდაო, შემოგვეხვივნენ გარს, იხვეწებოდნენ, შენი ჭირიმე, ჩემი ავადმყოფიც ნახეო. მხვეწნელი ბევრი იყო, მაგრამ დრო ცოტა. ნახა ორი თუ სამი ავადმყოფი. ყველას ფილტვების ანთება ჰქონდა. ზოგს მორჩენაც უჭირს, რადგან ექიმიცა და წამალიც მათთვის დაკარგიანებული იყო. ასე უპატრონოდ არის სოფელი დატოვებული.

აბდულ-ხანი.

---

**ლანჩხუთი.** გარდა იმ „საგმირო საქმეებისა“, რომელიც ცნობილმა მიქაშვილმა ჩაიდინა ლანჩხუთში ბოქაულობის დროს, მას კარგა ბლომა ფულის გადანგვაც ჰბრალდება. რაოდენობა ამ ფულისა ჯერ არ არის გამორკვეული. ამბობენ კი, რომ ბევრიაო. მოგვხსენებიათ სოფლად ბევრნაირი გადასახადია: სანადელო მიწებისა, კერძო მესაკუთრეთა მიწის ბაჟი, სადგიდამამულო გადასახადი, სახელმწიფო მიწებისა, საერობო, სკოლებისა და კანცელარიის ხარჯი, „მაღაზიისა“ და სხვ. ყველა ამ გადასახადს მიქაშვილი ეგზეკუციის საშვალებით ჰკრეფავდა. იმის განკარგულებაში კარგა დიდი ძალა იყო. მთელი რაზმი მიჰყავდა ხოლმე მიქაშვილს ამა თუ იმ საზოგადოებაში ფულის ასაკრეფად. მისვლისთანავე აცხადებდა: სანამ ამდენსა და ამდენს არ ჩამაბარებთ, აქედან ფეხს არ მოვიცვლიო. ჭამა, სმა—ყველაფერი სოფელს ევალებოდა. მცირე ყოყმანის შემდეგ სოფლის მოხელენი თვით საზოგადოების დახმარებით ისესხებდნენ კერძო პირებისაგან ფულს, ან გაჰყიდდნენ სანოვაგეს, ან მარჩენალ საქონელს და მიქაშვილს ისტუმრებდნენ. დროებით-მეთქი, ვამბობ, რადგან სულ მოკლე დროში ხელ ახლა მოითხოვდა ხოლმე ფულს ან დაიბარებდა თავისთან მამასახლისს და გამოუცხადებდა: სამი დღის განმავლობაში ამდენი და ამდენი ფული შემოიტანე, თორემ შენ არხანგელსკში გაგგზავნი და საზოგადოებაში კიდევ ეგზეკუციას ჩავაყენებო. ფული ხელად ჩნდება, მამასახლისები სესხულობდნენ სხვა და სხვა კერძო პირებისაგან ფულს, აძლევდნენ კვიტანციებს და მერე ფულს მიქაშვილს აბარებდნენ. მიქაშვილი-კი იძლეოდა ასეთ კვიტანციებს: საზოგადოებისაგან მივიღე სხვა და სხვა გადასახადებში ამდენი და ამდენიო. (რა გადასახადებში არ იყო მოხსენებული). თუ რომელიმე მამასახლისი ან მწერალი გაჰბედავდა და მოითხოვდა, ბატონო, კვიტანციაში დაგვისახელეთ, რა გადასახადში იღებთ ამ ფულსაო, მიქაშვილი დაუბღვერდა: როგორ მიბედავ მაგასაო და იფრენდა. ასე კრებდა გადასახადებს მიქაშვილი სხვა წლებში და ვაჭრებშიაც. როგორც ახლა გამოირკვა, გადახდილი ფული დანიშნულებისამებრ არ მისულა და ხალხს ხელახლა ახდევინებენ. როგორც გავიგეთ, მიქაშვილს სამართალში აძლევენ, მაგრამ რა გამოვიდა: ხალხს ადარაფერი დაუბრუნდება.

ვინ გაუბედავდა იმ დროს მიქაშვილს სიტყვის შებრუნებას?

ცალიანი.

# ოსმალეთი

**აბდულ-ჰამიდის ფული.**

აბდულ-ჰამიდი დართანხმდა მთავრობას გადასცეს ის ფული, რომელიც შეტანილი აქვს საფრანგეთისა და გერმანიის ბანკებში, ხოლო ინგლისის ბანკებში შეტანილ ფულს ის თავისთვის იტოვებს. როგორც ეხლა გამოირკვა, აბდულ-ჰამიდს დაემუქრნენ თურმე, სამართალში მიგცემთ საბერძნეთისაგან მიღებულ კონტრიბუციის მომეტებულ ნაწილისა და ეგრეთვე იმ ფულების მითვისებისთვის რომელიც ხალხმა შესწირა საბერძნეთ-ოსმალეთის ომის დროს დაჭრილებისა და მით ცოლშვილის სასარგებლოდ. სულთნად ნამყოფი შეშინდა თურმე და თავის ფული გადასცა სახელმწიფოს.

მთავრობამ გადასწყვიტა შეისყიდოს არატინის ვილა, სადაც ამ ჟამად აბდულ-ჰამიდი იმყოფება, და მაღალი ზღუდე შემოავლოს შემოავლოს მას.

**ქიამილ-ფაშა და იზმაილ ქემალი.**

ქიამილ-ფაშამ გაზეთებში დაბეჭდა სია იმ პირებისა, რომლებსაც დაურიგა სულთან აბდულ-ჰამიდისაგან მიღებული 100 ათასი გირვანქა. ამ სიაში მოქცეულნი არიან სხვათა შორის ახალგაზდა მოლვაწეებიც, რომლებსაც ფულად შეეწეოდა ეთხოვათ აბდულ-ჰამიდმსთვის.

ახრარიების ცნობილ მეთაურს იზმაილ-ქემალს პარიზიდან წერილი გამოუგზავნია თავის მეგობრისთვის— ქემალ-ფაშისითვის. იზმაილ-ქემალი ურცხვად სწერს თურმე ამ წერილში, რომ აბდულ-ჰამიდისაგან კარგი ხეირი მქონდაო, და თან იუწყება, რომ რეაქციონერები კონსტიტუციის დასამხობად გაზეთების დაარსებას აპირებენ პარიზსა და ქაიროში.

**რისთვის დაითხოვეს საფრანგეთის ელჩი კონსტანი.**

გერმანული გაზეთები ირწმუნებიან, ვითომ საფრანგეთის ელჩს კონსტანს ჯამაგირი ჰქონია დანიშნული აბდულ-ჰამიდისაგან, ყოველ თვეს 2 ათასი გირვანქა. საფრანგეთის მთავრობამ გაიგო თუ არა ეს ამბავი, მაშინვე გადააყენა კონსტანი.

გერმანული გაზეთები იუწყებიან აგრეთვე, ვითომ რუსის ელჩს ზინოვიევსაც ჰქონია აბდულ-ჰამიდისაგან ყოველ-თვიური ჯამაგირიო.

# კუნძულ კრიტოსის საქმე

„რუს. სლოვო“-ს კორესპონდენტისთვის შემდეგი უთქვამთ საბერძნეთის საელჩოში ვენაში კრიტოსის საქმის თაობაზე:

კუნძულ კრიტოსის ბედი გადაწყდება ზაფხულში, როდესაც კუნძულიდან გაიყვანენ ევროპის ჯარებს. მაშინ შეიძლება საშიში წამი დადგეს, რადგან ჩვენ არა გვწამს, რომ ადგილობრივმა ჟანდარმერიამ შესძლოს ბერძნებსა და ოსმალებს შორის კუნძულზე მოსალოდნელ უთანხმოების ჩაქრობა. ყოველ შემთხვევაში საბერძნეთის მთავრობა არაფერს არა იქმს ისეთს, რასაც საზოგადო მშვიდობიანობის დარღვევა შეუძლიან. იგი მოიცდის, სანამ დიდი სახელმწიფოები გადასწყვეტენ კრიტოსის საქმეს. ჯერ კარგად არ ვიცით, როგორ უცქერის ამ საქმეს ოსმალეთი. ეტყობა, ახალგაზდა ოსმალები მოითხოვენ, რომ კრიტოსს ავტონომია მიეცეს კუნძულ სამოსის მსგავსად.

საბერძნეთის საელჩოს მეორე წევრს უთქვამს:

მაისში იტალიისა და ინგლისის მეფეების შეხვედრის დროს გადასწყვიტეს, რომ კრიტოსი საბერძნეთს შეუერთდეს და ამის თაობაზე მოლაპარაკება გაიმართოს სტამბოლშიო. საქმე ეხლა მარტო იმაზედაა შემდგარი, თუ რომელი სახელმწიფო ითავებს ამ საქმეს— იტალია თუ ინგლისი, თუ ორივე ერთად. ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ ოსმალეთის მთავრობა და პარლამენტი დაუთმობენ ამ საქმეში სახელმწიფოებს. როგორც ოსმალეთის მთავრობას, ისე პარლამენტს შეუძლიანთ იმით გაიმართლონ თავი, რომ დიდმა სახელმწიფოებმა დაგვატანეს ძალაო. საშიში მხოლოდ ოსმალეთის ჯარის მეთაურები არიან ჩვენთვის, რადგან მათ შეუძლიანთ წინააღმდეგობის გაწევა იმ საბუთით, რომ ბოსნია-ჰერცოგოვინას ანექსიის შემდეგ ახალგაზდა ოსმალებმა მოვალეობა იკისრეს, ოსმალეთის იმპერიის მთლიანობასა და ხელუხლებლობას დავიცავთო. ყველა ამ მოსაზრებით, კრიტოსის საქმე მეტად სერიოზულ საქმედ უნდა ჩაითვალოს.

# სპარსეთის ამბები

**გერმანია ჩაერევა სპარსეთის საქმეში.**

გაზ. „ბაქუ“ იუწყება: „სარწმუნო ცნობები მივიღეთ, რომ გერმანიის მთავრობამ გადასწყვიტა სპარსეთის საქმეებში ჩარევა.

19 მაისს [illegible] ბერლინში დაარსდა ცენტრალური კომიტეტი [illegible] სპარსეთის საქმეებში [illegible] ნაწილეობის მისაღებად. კომიტეტის სათავეში დგანან ცნობილი დოქტორები რარბახი და სენსიუსი. მათ ბეჯითი ღონისძიება მიიღეს, რომ გერმანიის მთელმა საზოგადოებამ ყურადღება მიაქციოს სპარსეთის ამბებს.

ამ კომიტეტის წარმომადგენლებმა სთხოვეს გარეშე საქმეთა მინისტრს შტემრახს, რომ მან იმპერატორის ყურადღება მიაქციოს სპარსეთის მდგომარეობას. მინისტრმა უპასუხა, რომ სპარსეთის საქმე ისეთი უმნიშვნელო არაა, როგორც ჰფიქრობენ. დაე სპარსელები ნუ სწუხან, რომ მათი სამშობლო ვინმემ დაიპყროს. თუ ვინმე გაჰბედავს ამას, ეს უეჭველად გამოიწვევს საერთაშორისო ომს.

**საუბარი სათარ-ხანთან.**

„რუს. სლოვო“-ს თავრიზელ კორესპონდენტს უნახავს სათარ-ხანი და ბაღირ-ხანი, რომლებიც ბესტში სხედან ოსმალეთის საკონსულოში. საუბრის დროს სათარ-ხანს უთქვამს:

„აქამდე ჩვენ ბესტში ვსხდებოდით ხოლმე შაჰის მთავრობის თვითნებობისგან თავის დასახსნელად, ეხლა-კი რუსეთიც ისე მოქმედებს, თითქო შაჰის ბძანებაზე დადისო. ამიტომ მეტი ხსნა არ იყო უნდა ბესტში ჩავმსხდარიყავით. აკი ასეც მოვიქეცით“.

ოსმალეთის კონსულს უთქვამს კორესპონდენტისთვის, რომ სათარხანთან ერთად ბესტში ზის ორმოცი გამოჩენილი სპარსელი ვაჭარიო.

სათარ-ხანის სახლზე, რომელსაც რუსები დაკეტვას უპირებდნენ, ამ ჟამად ფრიალებს ოსმალეთის ბაირაღი.

**რუსები თავრიზში.**

რუსის ჯარის უფროსებმა თავრიზში დაატუსაღეს ენჯუმენის წევრი ალი-ასკერი და თავიანთ ბანაკში გაგზავნეს. კოკიმბადის უბანში საყოველთაოდ სჩხრეკენ ხალხსა. 16 კაცი დაატუსაღეს და იარაღი ჩამოართვეს. დაატუსაღეს რუსეთის ქვეშევრდომი ნაზარიანცი, რომელიც მონაწილეობას იღებდა რევოლიუციონურ მოძრაობაში.

**სათარ-ხანის მოლაპარაკება შაჰთან.**

თავრიზის ენჯუმენის ზოგიერთმა გავლენიანმა წევრმა, მათ შორის სათარ-ხანმა და ბაღირ-ხანმა საფრანგეთის კონსულის შემწეობით მოლაპარაკება გამართეს შაჰთან. ისინი თხოულობენ, რომ დატუსაღებული რევოლიუციონერები დაუყოვნებლივ გაანთავისუფლონ რუსებმაო. შაჰი დაჰპირდა, ვეცდები რევოლიუციონერების განთავისუფლებასო, და ამ აზრით სპარსეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა ინახულა რუსეთის ელჩი, რომელიც უკვე შეეკითხა რუსეთის მთავრობას და ეხლა დარიგებას ელის პეტერბურგიდან, თუ როგორ მოიქცეს ამ საქმეში.

**სამინისტროს გადადგომა.**

ახალი სამინისტრო სამსახურიდან გადადგა. შაჰმა არ შეიწყნარა მისი თხოვნა და შეევედრა, დარჩით სამსახურშიო. სამინისტრო მაინც არა ნდომობს დარჩენას.

**ლიახოვი.**

პოლკოვნიკმა ლიახოვმა ურჩია პირველ მინისტრს თეირანში განსაკუთრებული სამხედრო წესები გამოაცხადეთო. პირველმა მინისტრმა არ შეასრულა მისი რჩევა. ამის შემდეგ ლიახოვმა სამსახურიდან გადაყენება ითხოვა, მაგრამ შაჰმა არც მისი თხოვნა შეიწყნარა.

**საშიში მდგომარეობა.**

რეაქციონერები წინანდებურად გარს ეხვევიან შაჰსა. სამინისტრო სამსახურიდან გადადგა. ეინუდ-დოვლეს რაზმი კაზვინს უახლოვდება. იქაური რევოლიუციონერები პოზიციებს ამაგრებენ და მტრის დასახვედრად ემზადებიან. თეირანი მეტად ცუდ გუნებაზეა, იქაური ხალხი აღელვებულია- თეირანელები ძლიერ აამფოთა უკანასკნელმა ამბებმა. ამ დღეებში თეირანში, თავრიზის უბანში, მრავალი მიტინგი მოახდინეს. ერთ მიტინგზე, რომელსაც რამდენიმე ათასი კაცი დაესწრო, გამოჩენილმა ორატორებმა სი-

---

როგორც ჩვეულებრივი სინამდვილე, ისე ხელოვნურ შემოქმედების სფერაც ილსავსეა ტანჯვისა და მწუხარების მაგალითებით, მაგრამ ყოველს მათგანს არ შეუძლიან შექმნას ნამდვილი გრძნობა ტრაგიზმისა, თუ ის პიროვნება, რომელიც იბრძვის და იტანჯება მოკლებულია სიძლიერეს და სიდიადეს, საკაცობრიო მნიშვნელობას და ღირებულებას. ტანჯვა თავის-თავად, როგორც პიროვნების მოწინააღმდეგე, უარ-მყოფელი ძალა მოკლებულია ყოველ ესტეთიურს მნიშვნელობას: მხოლოდ მაშინ როცა იგი შეერთებულია სიდიადესთან, როცა იგი ხელს უწყობს პიროვნებას გაშალოს მთელი თავისი მრავალ-მხრივობა, დაგვანახოს მთელი სიღრმე ადამიანობისა, მხოლოდ მაშინ ეძლევა მას ფასი და ესთეტიური წონა.

ამ გარემოებას, რომ ტრაგიზმს ყოველთვის სიდიადის ელფერი აძევს, ყველაზე უფრო ყურადღება გერმანელთა სპეკულიატიურმა ესთეტიკამ მიაქცია: განსაკუთრებით შელლინგმა გადააჭარბა ამ მხარის მნიშვნელობა, როცა მან მოითხოვა, რომ ტრაგედიის გმირებად მხოლოდ ღმერთები და ნახევარ-ღმერთები დაესახოთ. ჩვენს პოეზიაში განსაკუთრებით ბარათაშვილის ლირიკა იწვევს მიუწდომელ სიდიადის გრძნობას: აქ სიდიადე ისე მჭიდროდაა შეკავშირებული ტანჯვასთან, თითქო ის მისი ერთად-ერთი მიზეზი იყოს, თითქო ტანჯვა აუცილებელი ხვედრი იყოს ყოველ დიად ბუნებისა. ი. ჭავჭავაძის პოემებში ეს დამოკიდებულება შედარებით უფრო შორეულია: მართალია, დიმიტრი თავდადებული და განდეგილი რომ ჩვეულებრივი ადამიანები ყოფილიყვნენ, მათ შეძლება თავიდან აეცილებინათ ტრაგიკული ბედისწერა, მაგრამ ყოველს შემთხვევაში პიროვნების სიდიადეს გარდა აქ სხვა მიზეზებიც მოქმედებენ სახიფათო მდგომარეობის შესაქმნელად. არა-ჩვეულებრივის პოეტიურის სიძლიერით მგოსანმა უწინარეს ყოვლისა „განდეგილში“ აიყვანა ეს სიდიადის გრძნობა უმაღლეს წერტილამდე, როცა მწირის სახით თითქმის ზეკაცი მოგვივლინა, ღმერთსა და ადამიან შუა მდგომარე წმინდანი, მიუწვდომელი უბრალო მომაკვდავისათვის. სიდიადის ბეჭედივე აზის მეფე დიმიტრის, განსაკუთრებით მას რკინისებრ მტკიცე ნების-ყოფას და ამაღლებულს იდეალს.

ამ ორ გრძნობის ურთიერთობისაგან აუცილებლად გამომდინარეობს მესამე განცალკევებული ელემენტი ტრაგიკულ შთაბეჭდილებისა, რომელსაც განსაკუთრებით ყურადღება თანამედროვე ფსიხოლოგიურმა ესთეტიკამ მიაქცია: ესაა კონტრასტის გრძნობა, რომელსაც ჰქმნის წინააღმდეგობა ტანჯვასა და სიდიადეს შორის. ის გარემოება, რომ იტანჯება და იღუპება არა უმნიშვნელო პიროვნება, არამედ დიდ-ბუნებოვანი ადამიანი, გამოუთქმელს პესსიმისტურს ელფერს აძლევს მთელს ტრაგიკულს ხელოვნებას. ერთი თანამედროვე ესთეტიკოსი ამბობს: „ამ კონტრასტის გრძნობის შემწეობით დიდი ადამიანის ტანჯვა დამახასიათებლად იზრდება და მწვავდება. სიდიადე გვაჩვენებს მას (ტანჯვას) მთელის მისის სიმძაფრით და საშინელებით, ამასთანავე შლის მთელ იმის ბუნების მრავალ-მეტყველ, ბნელს და ამოცანისებურ სიღუხჭირეს. აქ განსაკუთრებულ სიძლიერით ჩნდება ის უაზრობა და აუტანლობა, რომელიც ტანჯვაში იმალება. გამოჩენილ ადამიანის ტანჯვა საკითხია სამყაროს ამოცანისადმი; ის შავს და სასტიკ ელფერს ჰფენს იმ ბედნიერებას, რომელიც ყოველ ადამიანის ცხოვრებას თავს დასტრიალებს“. (ფოლკელტი: „ესთეტიკა ტრაგიკული ხელოვნების“) ეს გრძნობა ი. ჭავჭავაძემ „განდეგილში“ იმით გააძლიერა, რომ მან დამღუპველი ძალა მის სულში მაშინ გამოაღვიძა, როცა მწირმა თითქმის უკვე სავსებით მიაღწია თავის ღვთაებრივის მიზანს. ბარათაშვილის ლირიკიდან კონტრასტი ყველაზე მეტად საგრძნობელია მის ლექსში: „ვპოვე ტაძარი“, სადაც მგოსანი ჩვეულებრივის მდგომარეობის სიღუხჭირეს მით უფრო აუტანლად ჰგრძნობს, რომ მან უკვე იხილა ერთხელ მშვენიერების ტაძარი, რომელსაც შეეძლო სულიერი მშვიდობა მიენიჭებინა მისთვის, მაგრამ ულმობელს ბედისწერის შემწეობით ხელახლა დაჰკარგა იგი.

არსებობს რაღაც გამოუთქმელი საბედისწერო ურთიერთობა მოვლენათა შორის ტრაგიკულს ხელოვნებაში, რომელიც თვით პოპულიარული შეგნებაზედაც-კი ახდენს ძლიერს შთაბეჭდილებას: ყველაფერი რაც ტრაგიკულს ხელოვნებაში ხდება—ხდება არა უბრალო შემთხვევით, არამედ საბედისწერო აუცილებლობის ძალით და ამით თვით ტრაგიკულს გრძნობასაც რაღაც კოსმიური ელფერი ეძლევა. ესაა მოირა, ფატუმი, ბედისწერა ანუ იღბალი, რომელიც ძველს ტრაგედიაში მოქმედებს უმეტეს ნაწილად, როგორც ტრანსცენდენტალური ძალა, ხოლო ახალში როგორც იმანენტური, თვით მოვლენათა დამოკიდებულებაში დამალული აუცილებლობა, რომლის საზღვრების გადათელვა არ ძალუძს თვით უძლიერეს ადამიანს: ბერძნების ტრაგედიის შეხედვით თვით ღმერთები ექვემდებარებიან მის უცვლელ, გაუგებარ კანონებს. საბედისწერო აუცილებლობის გრძნობით გამსჭვალულია „ვეფხვის ტყაოსანიც“, მეტადრე ავთანდილის ცნობილი ანდერძი, სადაც იგი შეუდარებელის პოეტიურის სიღრმით იხატება:

არას გარგებს სიმძიმილი, უსარგებლო ცრემლთა დენა,—
არ გარდავა გარდუვალად მომავალი საქმე ზენა!
წესი არის მამათაგან მოჭირნება, ჭირთა თმენა!
და არავის ძალუძს ხორციელსა ჟამნების გარდავლენა!

ბარათაშვილის ლირიკაში, სადაც მგოსანმა თვით ბედისწერასთან ბრძოლა იკისრა, ეს გრძნობა უფრო ძლიერია ვიდრე ი. ჭავჭავაძის პოემებში, სადაც ბედისწერა მოქმედებს როგორც მუხთალი ძალა, რომელიც თითქო ბუნების სტიქიასაც კი ამხედრებს ადამიანის წინააღმდეგ („განდეგილში“) ან ებრძვის ადამიანს მოუხეშავ, უძლეველ მტრის შემწეობით („დიმიტრი თავდადებულში“).

ბოლოს არ შემიძლიან არ მივუთითო იმ ამამაღლებელ გრძნობას, რომელსაც იწვევს ყოველი ტრაგიკული ხელოვნება და რომელიც ხშირად ჩრდილავს ტრაგიზმის ღრმა პესსიმისმს და საშინელებას. მართალია, დიდი პიროვნება იტანჯება და იღუპება საბედისწერო აუცილებლობით, მართალია, ამით ხშირად აშკარავდება თვით მსოფლიო არსებობის ბნელი და შემაძრწუნებელი მხარეები, მაგრამ ტრაგიკული გმირის ქცევაში ყოველთვის არის რაღაც განმასპეტაკებელი და ამაფრთოვანებელი, უდიდეს ადამიანობის მატარებელი. ეს გრძნობა უფრო ნათლად გამოიხატა „ფიქრში მტკვრის პირად“, „მერანში“ და „დიმიტრი თავდადებულში“, სადაც ტრაგიზმის განვითარება უთითებს იმ საქმის მომავალს გამარჯვებას, რომლის გულისთვისაც დაიღუპა ძლიერი პიროვნება.

გერონტი ქიქოძე.

ტყვები წარმოსთქვეს და ერთხმად აღნიშნეს, რომ შაჰს კონსტიტუციის გამოცხადებით მხოლოდ ხალხის დამშვიდება უნდოდა; მას სწადიან ადერბეიჯანის დამშვიდება და დაპყრობა სხვა სახელმწიფოებს დაავალა, ხოლო ადერბეიჯანიდან გამოყვანილ ჯარით გილანი (რეშტი, კაზვინი) დაიპყრას და ამნაირად მთელ სპარსეთში საბოლოოდ დათრგუნოს რევოლიუცია.

ამ ამბების გაგონებით გაცეცხლებულმა ხალხმა ერთხმად დაიგრიალა: „ძირს მოღალატეები!“ „ძირს თვითმპყრობელობა!“ „ძირს უცხოელები!“ საიდანღაც გაჩნდა გარეშე საქმეთა მინისტრი, იგი ძლიერ შეეცადა ხალხის დამშვიდებას, მაგრამ ვერას გახდა. ხალხი ჯგუფ-ჯგუფად დაიყო და მთელ თეირანს მოედო. სალამომდე ქუჩებში ყველგან დემონსტრაციები იმართებოდა. შაჰმა თეირანი ლიახოვს ჩააბარა, თითონ კი საზამთრო სასახლეში წავიდა ქალაქ გარედ. მდგომარეობა ძლიერ რთულდება

**სათარ-ხანის დეპეშა ახალგაზდა ოსმალთადმი.**

სათარ-ხანმა ოსმალეთის საკონსულოდან დეპეშა გაუგზავნა „ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტს სტამბოლში. იგი სპარსეთის ხალხის სახელით სთხოვს ახალგაზდა ოსმალებს, რომ ოსმალეთის ჯარმა ადერბეიჯანი დაიჭიროსო.

**სპარსელების დეპუტაცია პარიზში.**

პარიზში მივიდა სპარსელ ენჯუმენების დელეგატები, რომლებიც სპარსეთის საქმეთა მდგომარეობას გააცნობენ საფრანგეთისა და ინგლისის საზოგადოებას. დელეგატები პარიზიდან ლონდონში გაემგზავრებიან. ისინი აცხადებენ, რომ რუსეთის საელჩოს გავლენიანი წევრები პოლკოვნიკ ლიახოვთან ხელი-ხელ გადაბმულნი კონსტიტუციის წინაამდეგ მოქმედებენო. რუსის ჯარმა სწორედ იმ დროს უშველა შაჰსა, როდესაც რევოლიუციონერების გამარჯვება მოახლოვებული იყო.

**კაზვინის ენჯუმენის პროტესტი.**

კაზვინის ენჯუმენმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა ინგლისის და რუსეთის საელჩოებს თეირანში:

„რევოლიუციონერების ხანგრძლივ ბრძოლით რეაქციონერების წინააღმდეგ, სპარსეთის ხალხმა მოიპოვა კონსტიტუცია და ახალი ლიბერალური სამინისტრო დაანიშვნინა შაჰსა. კონსტიტუციის გამოცხადების შემდეგ ჩვენ იარაღი ავყარეთ ჩვენის რაზმების უმეტეს ნაწილს. ჩვენ დავმალეთ წითელი ბაირაღები—ნიშანი ჩვენის ბრძოლისა თავისუფლებისთვის და მთელ ხალხს გამოუცხადეთ კონსტიტუციის აღდგენა. ხალხმა სამ დღეს იდღესასწაულა ეს ამბავი.

დღეს კი თეირანიდან ცნობა მოდის, რომ იქ კონსტიტუციონალისტებს ატუსაღებენ. მათთვის შეკრება აუკრძალავთ. ვინც ბესტიდან გამოვიდა, ისევ თავი შეაფარეს საელჩოებსა და საკონსულოებს, რადგან მათ პიროვნებასა და ქონებას საფრთხე ემუქროდა.

ჩვენ ვუცხადებთ სახელმწიფოების წარმომადგენლებს, რომ რაკი შაჰი პირობას არღვევს, ჩვენც იძულებულნი ვიქნებით თავიდან მივიხსნათ პასუხისგება იმ შედეგებისთვის, რომლის ბრალი მთლად დაედება შაჰის კამარილიას, რომელმაც თავის მოქმედებით დაარღვია მშვიდობიანი განწყობილობა შაჰსა და ხალხს შორის“.

## კარგი საქმე

(წერილი თიანეთიდან)

7 მაისს თიანეთს ეწვივნენ ფრიად სასიამოვნო და სასურველი სტუმრები- ყველისა და ერბოს მკეთებელი, დახელოვნებული ოსტატი ლეონ ზარაფიანი და ამავე საგნების თეორეთიკოსი, „დროების“ თანამშრომელი ელიზბარ კარბელაშვილი, მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი. მათ ტფილისიდან თან მოიტანეს გლეხებისათვის საჩვენებლად „სეპარატორი“, ანუ ნაღბის სახდელი მანქანა და ამერიკულ სისტემის გაადვილებული სარწები სადღვებელი. იმ დღესვე ე. კარბელაშვილმა გლეხებს შეატყობინა მოსვლის აზრი და დემონსტრაციისთვის (მანქანების საჩვენებლად) დაუნიშნა მეორე დღე, ე. ი. 8 მაისი, ადგილობრივ ორ-კლასიან სასწავლებელში.

მეორე დღეს ჯერ კარგად არცკი იყო გათენებული, რომ სასწავლებლის ეზო მოიჭედა ხალხით: დემონსტრაციას დაესწრო როგორც განათლებული ნაწილი, ისე გლეხობა ორივე სქესისა, 70 სულამდე. რადგან შიგ ს. თიანეთში არავისა ჰყავს ბლომად ძროხები, რძის შეგროვებამ შეაფერხა ცოტათი საქმე. მაინც ორ-სამ ვედრომდის შეგროვდა. აქ უნდა ვთქვათ, რომ დასახელებულ მანქანისათვის საჭიროა ხუთი-ექვსი ფუთი და მეტი, რადგან სეპარატორი საათში 8 ვედრა რძესა ხდის ნაღებს. სეპარატორს საქმე აქვს სრულებით ახალ რძესთან, რომელიც ის არის მოიწველა და რომელსაც ჯერაც ცურის სითბო არ გამოჰლევია. იგი რძეს ჰყოფს ორ ნაწილად—გამხდარ რძედ და ნაღბად. გამხდარ რძისას ნახევარ საათის განმავლობაში ამზადებენ ყველს, ხოლო ნაღებს სადღვებელში დიდის სისწრაფით სდღვებენ.

რომ მკითხველმა უკედ წარმოიდგინოს უკანასკნელის ღირსება, მოკლედ შევეხები თიანურ სადღვებლებს. სადღვებლები აქ სამ გვარია: თიხის დიდი ქილა (შიგ თიანეთში ხმარობენ), კოდი (ფშავლები ხმარობენ თიანეთის არე-მარეში) და ჩხუტი (ამასაც უფრო ისევ ფშავლები ხმარობენ ბინებში). როდესაც ძროხებს სწველავენ, რძეს ერთ დიდ ჰურჭელში ასხავენ და ორი სამი დღე ინახავენ, ვიდრე კარგად არ დამჟავდებოდეს, რადგან ახალი რძე ხსენებულ სადღვებლებში არ შეიდღვიბება. როდესაც რძე მჟავდება, მაშინ დედაკაცები (ეს საქმე მთლად იმათ ხელშია) ასხავენ თავიანთ სადღვებლებში, და ერთი-ორი საათის განმავლობაში, ხშირად მეტ ხანსაც, არწევენ, ი. ე. სდღვებავენ. რასაკვირველია, რძეს მალ-მალ სინჯავენ და როცა ნახავენ, რომ კარაქი ხვირიმ-ხვირიმათ მოიკრიფა, მაშინ ასხავენ ცივ წყალს და კარაქი ერთად გროვდება; მერე ხელით იღებენ სადღვებლიდან კარაქს. რაც კარაქის გარდა რჩება, იმას ვეძახით ჩუმას. ჩუმას ქვაბებში მოაქცევენ და ცეცხლზე სდგამენ ცოტა რომ გათბება, გადმოიღებენ და პარკებში გაცივებულს სწურავენ, რომლიდანაც სდგება ხაჭო. ამნაირად დღვება ჩვენს დედაკაცებს შედარებით ბლომად დროს ართმევს. ერთი ადამიანი, თუ მეტი არა, სულ ხელ აღებით უნდა დღვებას უყურებდეს.

სრულ ათ საათზე ზარაფიანი და კარბელაშვილი შეუდგნენ სეპერატორით ნაღების მოხდას. კარბელაშვილმა პირველად მთლად დაშალა მანქანა, აჩვენა ხალხს და აუხსნა თვითეულ ნაწილის დანიშნულება. ხალხი თან და თან ემატებოდა. ბოლოს დაიწყო ნაღების ხდაც. ხალხი პირზე ღიმილით და დიდის სიამოვნებით უყურებდა, ნაკადულივით როგორ გამოდიოდა ერთი მილიდან ნაღები, ხოლო მეორედან—რძე. კარბელაშვილი თვითეულად იწვევდა დამსწრეთ და სეპარატორს ამუშავებინებდა. მეოთხედ საათში ორ ვედრა რძეს ნაღები მოჰხადეს და მჭლე რძისა აქვე ყველი გააკეთეს. ამის დანახვაზე ხალხი გაოცდა. ბევრმა სურვილი განაცხადა ამისთანა მანქანების შეძენისა.

თუმცა ზოგიერთმა მოხელემ თითი კახეთისკენ გაუშვირა კარბელაშვილსა, მაგრამ მან მოინდომა ახლომახლო ფშავლების სოფლების დავლა. იგი თავის ამხანაგით და თიანეთის მასწავლებლით იმ დღესვე გადავიდა ფეხით ს. თეთრახევზე. ეს სოფელი ორ-სამ ვერსის მანძილზეა თიანეთიდან. იქ სულ 15 კომლი ფშაველი სცხოვრობს. თვითეულ ოჯახს სულ ცოტა 40—50 სული ძროხა და სხვა მსხვილი საქონელი ეყოლება. როდესაც უცხო პირები ნახეს, თეთრახეველებმა პირველად ეჭვის თვალით შეჰხედეს, თუმცა კი დიდის სურვილით მოისმინეს მათი ნალაპარაკევი. ბოლოს, რა გაიგეს საქმე, სთქვეს: „აბა მაშ მოიტანეთ ის რაღაც მაშინებია, ვნახავთ და თუ ჰკვაში დაგვიჯდა, მადლობლები დაგრჩებითო“. ამასთან აღუთქვეს რძის შენახვა.

მეორე დღეს კარბელაშვილი, ზარაფიანი და მასწავლებელი მანქანებით დილიანად გაჩნდნენ თეთრახევში. ნახევარი საათის განმავლობაში ორმა-სამმა კომლმა 8—9 ვედრა რძე მოიტანა იმავე დილით მონაწველი, ხოლო რადგან ეს საკმაო იყო, სხვებს უარი უთხრეს. კარბელაშვილმა მანქანები აქაც გააცნო ხალხს და შემდეგ შეუდგნენ ნაღბის ხდას. არ შემიძლიან შეუნიშნავად დავსტოვო თეთრახეველების თიანელებთან შედარებით, ძლიერი სურვილი და მისწრაფებანი. თეთრახეველები—ქალი, კაცი, ბავშვი, დიდი და პატარა—ყველანი ერეოდნენ საქმეში და შეძლებისადაგვარად იღებდნენ მონაწილეობას ნაღბის ხდაში და დღვებაში. ყველაფერს თავიანთ თვალითა და ხელით სინჯავდნენ. სახლის ეზო ნამდვილ პატარა ქარხანას წარმოადგენდა. იქ მაგიდაზე გამაგრებულიყო სეპარატორი, რომელსაც 10—15 ქალი და კაცი ხელს უწყობდა, აქ სადღვებელი იდგა გარს ქალებით შემოკრული, იქით ეზოში ცეცხლი იყო გაჩაღებული, სადაც დიდი ქვაბებით საყველე რძე თბებოდა. ფშავლებმა მანქანების შეძენის სურვილი გამოსთქვეს. უმეტესი წილი კი სადღვებლების შეძენას ნატრობდა.

რომ უფრო ცოცხლად დასურათებულიყო ამერიკულ სადღვებლის უპირატესობა და ღირსება, კარბელაშვილმა მოსთხოვა ფშავლებს იმათი სადღვებელი და დამჟავებული რძე. გაჰყო შუაზედ, ნახევარი ერთ სადღვებელში ჩაუყენა და ნახევარიც მეორეში. შემდეგ წინადადება მისცა ფშავლებს, რომ თვითონ შეედღვიბათ ორივე. დღვება დაიწყო ერთ დროს. ამერიკულ სადღვებელში შედარებით ადრე შეიდღვიბა, იმდენა ძალა არ დასჭირდა, რაც მეორეს და მეტი და უფრო კარგი გემოს კარაქი დადგა. წამოსვლის დროს ფშავლებმა გულის სიღრმიდან წარმოსთქვეს: „თქვე დალოცვილებო, ორი სამი დღე მაინც დარჩებოდით, რომ კარგად შეგვესწავლაო“. მეორე დღეს, ე. ი. 10 მაისს კარბელაშვილი თავის ამხანაგით თუშებისკენ წავიდა და აღუთქვა თიანელებს უკან მობრუნება.

თიანეთის არე-მარეში შედარებით ძლიერ ბევრი საქონელია, მაგალითად ივრის და არაგვს კიდეებში და კორსავის მთებზე, სადაც მთელი თიანეთის მაზრის ფშავლების საქონელი მთელი ზაფხულობითა სდგას. დიდი ბედნიერება იქნება, რომ ხსენებული პირები როგორმე მოჰხვდნენ დასახელებულ ადგილებში და რამდენიმე ხანი დაჰყონ იქ. კარბელაშვილის წასვლის შემდეგ არა ერთი და ორი კაცი მოვიდა ჩემთან, მკითხავდნენ—რა იქნენ აღარ მოვლენო.

ს—ძე.

## რუსეთი

✦ **პერგამენტის გარდაცვალება და დასაფლავება.** როგორც დეპეშებიდან ვიცით გარდაიცვალა სახელმწიფო სათათბიროს ერთი ნიჭიერი დეპუტატი, კადეტების ფრაქციის წევრი პერგამენტი. პერგამენტი დაიბადა 1863 წელს, ქალაქ ფეოდოსიაში. გიმნაზიის (ოქროს მედლით გაათავა) გათავების შემდეგ პერგამენტი შევიდა ოდესის უნივერსიტეტში, ფიზიკო-მათემატიკურ ფაკულტეტზე. 1891 წელს გაათავა უნივერსიტეტი. რამდენიმე ხანი პერგამენტი ქალების გიმნაზიის მასწავლებლად იყო. 1899 წელს ნაფიც-ვექილთა წოდებაში ჩაეწერა 1905 წელს ოდესის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით იგი პერმის გუბერნიაში გადაასახლეს. პერგამენტი ოდესიდან მეორე სათათბიროს დეპუტატად აირჩიეს. როდესაც მეორე სათათბირო დაითხოვეს და მესამე სათათბიროს არჩევნები მოხდა, ოდესამ ისევ თავის საყვარელი დეპუტატი გაგზავნა სათათბიროში. პერგამენტი გამოჩენილი იურისტი იყო. არც ერთი დიდი პროცესი არა ყოფილა, რომ მას მონაწილეობა არ მიეღოს: მეორე სათათბიროს სოციალ-დემოკრატის ფრაქციის საქმე, „ვიბორგელების“ საქმე, ოდესის უნივერსიტეტის პროცესი და მრავალი სხვა. პერგამენტის გარდაცვალებამ ყველაში დიდი მწუხარება გამოიწვია. მის გარდაცვალების მეორე დღესვე ხმა გავრცელებულა, რომ პერგამენტმა თავი მოიწამლაო, მაგრამ ეს მტკნარი სიცრუე გამოდგა. ექიმების შემოწმებით პერგამენტი გულის სიგანივრით გარდაცვლილა. ჯერ კიდევ 17 მაისს, როდესაც სათათბიროში გაიგეს, რომ პერგამენტს ოლგა შტეინის გამო სამართალში აძლევენო, პერგამენტზე ისე უმოქმედნია ამას, რომ მას ფერი წასვლია და კულუარებში კედელს მიჰყრდნობია. „ეს სისულელეა, ცილის-წამებაა, შანტაჟია“, იმეორებდა თურმე პერგამენტი. ამხანაგებს ურჩევიათ სათათბიროს სხდომას ნულარ დაესწრები, სახლში წადიო, მაგრამ მას არ დაუჯერებია. სხდომის დროს ისე ცუდ-ად გამხდარა, რომ ამხანაგები იძულებულნი გამხდარან სათათბიროდან გამოეყვანათ. კულუარებში მას გული წასვლია და ამხანაგებს ხელში აუყვანიათ და ეტლში ისე ჩაუსვამთ. მეორე დღეს, სალამოს 6 საათსა და 20 წუთზე პერგამენტი გარდაიცვალა. პერგამენტი მიწას კვირას, 19 მაისს, მიაბარეს. ჯერ კიდევ შაბათს პერგამენტის მახლობლებს გაეგოთ, რომ არც ერთ სასაფლაოზე არ მოგვცემენ მიცვალებულის დასაფლავების ნებასაო. დეპუტატები აჯეემოვი, ბოპიანსკი და გარდაცვალებულის ძმა (პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი) მიტროპოლიტ ანტონისთან წასულა. მიტროპოლიტს უთქვამს, რომ პერგამენტმა თავი მოიკლა და ამიტომ ვერც ერთ სასაფლაოზე ვერ დავასაფლავებთო. მიტროპოლიტისთვის ექიმების მოწმობა უჩვენებიათ, ამის შემდეგ მიტროპოლიტი დასთანხმებია, მაგრამ განუცხადებია, მღვდლები არ გაჰყვებიან, რადგან არ ვიცით პერგამენტი სიცოცხლის დროს საეკლესიო წესებს ასრულებდა თუ არა. განსვენებულ პერგამენტის დასაფლავებას რამდენიმე ათასი კაცი დასწრებია. სხვათა შორის ყოფილა სათათბიროს თავჯდომარე ხომიაკოვი, სათათბიროს ოპოზიცია, ბევრი ოქტომბრისტი და სხვები. განსვენებულის კუბოა აუარებელი გვირგვინით ამკობდნენ. პერგამენტი უმღვდლოდ დაუსაფლავებიათ. სასაფლაოზე სიტყვები წარმოუთქვამთ მილიუკოვს, როდიჩევს და სხვებს. განსვენებული პერგამენტი დაზღვეული ყოფილა 100,000 მანეთში.

✦ **პურიშკევიჩის გაზეთი.** პურიშკევიჩს კარგა ხანია განზრახული აქვს თავისი გაზეთი გამოსცეს, მაგრამ უფულობით ვერ მოუხერხებია. პურიშკევიჩს, სხვათა შორის, აკერმანის (აქაურია პურიშკევიჩი) ქალაქს თავისთვის უთხოვნია, სუბსიდია დაგვინიშნეო, მემარჯვენეებმა გაზეთი უნდა გამოვცეთო. წერილში სწერია, რომ მემარჯვენეებს გაზეთი აღარა გვაქვს, „ნოვოე ვრემია“. ოქტომბრისტების ლაქიად გადაიქცა და „რუსკ. ზნამის“ მარტო „ქადებს“ ვერ ასდის და სხვას ვერაფერს აკეთებსო. აკერმანის ქალაქის თვითმართველობას პურიშკევიჩისთვის 100 მანეთის სუბსიდია დაუნიშნია. საინტერესო ის არის, რომ ამავე ქალაქის თვითმართველობამ აკერმანის სახალხო სახლის ამგების ინიციატორებს ფული არ მისცა, „ქალაქს თავისუფალი ფული არა აქვსო“.!!

✦ **ყოფილი გენერალ-გუბერნატორი სამართალს გაურბის.** ამ რამდენიმე ხნის წინეთ ვინმე დანილევსკიმ სამართალში მისცა ხარკოვის ყოფილი გენერალ-გუბერნატორი გენერალი პეშკოვი. პეშკოვს ისე მოუწყვია საქმე, რომ სასამართლოს ვერ მოუხერხებია უწყების ჩაბარება, თუმცა პეშკოვი ხარკოვში სცხოვრობდა. დანილევსკის შემთხვევით გაუგია, რომ პეშკოვი საიდუმლოდ ხარკოვში სცხოვრობს. დანილევსკი პოლიცმეისტერის კანცელარიაში წასულა და პეშკოვის ადრესი მოუთხოვია. კანცელარიაში უთქვამთ, პეშკოვი ხარკოვში არა სცხოვრობს, ის კარგა ხანია პეტერბურგში წავიდაო. დანილევსკის შემთხვევით პეშკოვი ქუჩაში უნახავს. ამის შემდეგ დანილევსკის გენერალ-გუბერნატორთან უჩივლია, გენერალი პეშკოვი ხარკოვში სცხოვრობს ჩაუწერლად და გთხოვთ საქმე გამოიძიოთ და ის სახლის პატრონი ვისთანაც პეშკოვი სცხოვრობს 500 მანეთით დააჯარიმოთ, რადგან თვით პეშკოვმა, გენერალ - გუბერნატორობის დროს გამოსცა სავალდებულო დადგენილება, რომლითაც სახლის პატრონები, რომლებიც თავიანთ მდგომრებს საადრესო წიგნში არ ჩასწერდნენ, 500 მანეთით უნდა დაეჯარიმებინათ. ეს დადგენილება თქვენ არ გაგიუქმებიათ. გენერალ-გუბერნატორს მართლაც გამოუძიებია და აღმოჩენილა, რომ პეშკოვი ჩაწერილ არა ყოფილა, საიდუმლოდ უცხოვრნია ხარკოვში, სახლის პატრონი, რომ-ლიც პეშკოვს მალავდა, აღმოჩენილა ხარკოვის სამოსამართლო პალატის პროკურორი უსტინი. ამ პროკურორს ჰქონდა გადაცემული პეშკოვის საქმე. კომენტარიები მგონი აღარ არი საჭირო. პროკურორი დამნაშავეს მალავს და სასამართლოს კი უწყების ჩაბარება ვერ მოუხერხებია.

✦ **პსკოვის საინტენდანტო.** „გოლ. მოსკ.“ იტყობინება: „პსკოვის საინტენდანტოს მოულოდნელად რევიზია გაუკეთეს. რევიზიამ ჯერ-ჯერობით აღმოაჩინა, რომ საინტენდანტსტვოდან აუარებელი ფქვილი უპარნიათ. რევიზიის შედეგი დიდი იქნება“.

✦ **ოქტომბრისტების კრება.** როგორც ვიცით შემოდგომაზე ოქტომბრისტების კრება მოხდება. „რეჩის“ სიტყვით კრებაზე განიხილავენ „კავკასიის ერობის“ საკითხსს. ამის შესახებ მოხსენებას წაიკითხავს მილიუტინი.

✦ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: მოსკოვში 1, ხარკოვში 2, ვარშავაში 3, პეტერბურგში 1, კარენეც-პოდოლსკში 2, უფაში 5, კაცს: სიკვდილით დასაჯეს: ორიოლში 1, ოდესაში 1, უფაში 3, კიევში 2, ტომსკში 1 ვლადივოსტოკში 2 კაცი.


## სურამში

იუნკრის შკოლის საზაფხულო ლაგერის პირდაპირ ისყიდება საუკეთესო საააგარაკო ადგილები. დატოვებულია სასეირნოთ მშვენიერი **ფიჭვის და მუხის პარკე`ი.** ჰავა და ბუნება საუკეთესო. ფასები ხელმისაწდომი: **ორი აბაზიდგან ოთხკუთხი საჟენი** შეიძლება ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდა.

ადრესი: სურამში, როსტომ დ. ჩიკვაიძეს. (10—271—3)

გამოვიდა ჟურნალი

## „რუსსკაია მისლი“

(«РУССКАЯ МЫСЛЬ»)

მაისის (მეხუთე) ნომერი შემდეგის შინაარსით:

1. „ყურანი“. ლექსი კ. ბალმონტისა; 2. «ბაჟეღისწერე ხვედრი», ლექსი ...რომიზოვისა; 3. «ღ-სიზები» მოთხრობა ვ. ხეროვმევსკისა; 4. «როდესაც მე მამა კაცი ვიყავ» კ. ლემონიერი, თარგმ. ზ. ნ. ჟურავსკაისი (გაგრძელება); 5. «ივან ... დიდის საჰრეკლოზე», ლიმ. კრაჩკოვსკისა; 6. ბედნიერი «ბარი» ...სა, თარგმ. მ. პ. ბლაგოვეშჩინსკაიასი; 7. «ნ. ვ. გოგოლი და მოსკოვის უნივერსიტეტი», მ. ნ. სპერანსკისა; 8. «ბაკუნინების ოჯახობა», ა. ა. კორნილოვისა; 9. ნაჭირნაზულევი (ა. პ. ლენსკის მოგონებიდან); 10. წერილი საფრანგეთიდან, ფოსტა ტელეგრაფის მოხელეთა გაფიცვა, ა. შჩეპეტოვისა; 11. ლ. შესტოვის ახალი წიგნი (ლევ შესტოვი:—«დასაწყისი და ბოლო» კრებული), ლ. ს—ვისა: 12. «პირველ ქრისტიანობაზე», ს. ნ. ბულგაკოვისა; 13. ანიმიზმი როგორც მსოფლიოს „შემეცნების პრინციპი». ბ. პალეცკისა; 14. სხვა და სხვა თემებზე: «ვეხი» და «წერილები» ა. ი. ერტელისა, თავ. დ. ი. შახოვსკოის წერილების გამოც», პეტრე სტრუვესი; 15. «ვეხი»-ს კრებულზე, ა. კიზევეტერისად ხ. გ. ლურიესი; 16. «საფრანგეთის ლიტერატურა». ვ. ბრიუსოვისა; 17. «გოგოლის ნაანდერძევი», მ. ო. გერშენზონისა; 18. «გოგოლი მუსიკაში», ვ. ს. ბასკინისა; 19. «პოლიტიკურ დღიურიდან», ა. ს. იზგოევისა; 20. «უცხოეთის პოლიტიკა», ლ. ი. გალბერშტადტისა; 21. ბიბლიოგრაფიული განყოფილება; 22. განცხადებანი.

მიიღება ხელის მოწერა 1909 წლისთვის.

**ხელის მოწერის პირობები:**

| | ერთი წლით. | 9 თვით. | 6 თვით. | 3 თვით. | 1 თვით. |
|---|---|---|---|---|---|
| გაგზავნით | 12 მან. | 9 მან. | 6 მან. | 3 მან. | 1 მ. |
| საზღვარ გარედ. | 14 | 10 მ. 50 კ. | 7 „ | 3 მ. 50 კ. | 1 მ. 25 კ. |

ადრესის გამოსაცვლელად 30 კაპ., ქალაქიდან სხვა ქალაქში—55 კაპ. ხელის მოწერა მიიღება: მოსკოვში—ჟურნალის კანტორაში, ს.-პეტერბურგში, ვილნოში და ვარშავაში—კარბასნიკოვის წიგნის მაღაზიაში; კიევში—ოგლობლინისა და სოკოლოვსკის წიგნის მაღაზიებში; ოდესაში—წიგნების მაღაზია „ტრუდში“.

წიგნების საწყობი „რუსსკაია მისლ“.

„მოსკოვის ყოველკვირეულ და რუსკაია მისლზე ერთდროულად ხელის მოწერის ფასი ღირს: 1 წლით 15 მან., 17 მანეთის ნაცვლად; 6 თვით 8 მან., 9 მანეთის ნაცვლად; 3 თვით—4 მანეთი 4 მ. 50 კაპიკის ნაცვლად.

წიგნის მაღაზიებში ერთ დროული ხელის მოწერა არ მიიღება, არც ფულის ნაწილ-ნაწილ შემოტანა შეიძლება.

**ახალი წიგნები, ჟურნ. „რუსკაია მისლი“-ს მიერ გამოცემული:**

1. ა. კორნილოვი—„საზოგადოებრივი მოძრაობა ალექსანდრე II დროს“. ფ. 1 მ. 25 კ.
2. ზ. ფრენკელი—„ხოლერა და ჩვენი ქალაქები“ ფ. 15 კაპ.




## ალექსანდრე როსტომის ძე თაბაგარის მაღაზია ქ. ქუთაისში.

ზომიერ ფასებში როგორც ნაღდზედ, ისე ნისიადაც თვიური გადახდით, ვყიდი საუკეთესო საკერავ და ჩულქის საქსოვ მაშინებს, გრამოფონებს და მათ მოწყობილებას.

საქონელს ვღებულობ საზღვარ-გარეთის საუკეთესო და ბევრჯელ დაჯილდოვებულ ქარხნებიდან. **მაშინები მაღალ ხარისხოვანია** და ბევრად უფრო გაუმჯობესებული **„სისტემა ზინგერ“-ზე.** საქონლის სიკარგეში ვიძლევი გარანტიას ათი წლით უფასო შესწორებით, კერვას და ჩულქის მაშინებზე ქსოვას ჩვენ თვითონ ვასწავლით.

აგენტები გვყავს და ჩვენი საქონელი იყიდება შემდეგ ადგილებში: სამტრედია, ხონი, ყვირილა, ჭიათურა, ონი, აბაშა, სვირი, ბაღდადი, ლანჩხუთი და სხვაგან. ბის გამოგზავნითაც შეიძლება საქონლის დაბარება და თუ საქონელი მოსაწონი არ იქნება, ფულს უკან უბრუნებთ. წერილობით მიწერ-მოწერაზე, პასუხს სწრაფად ვიძლევით.

**ადრესი:** А. Р. Табагари, г. Кутаисъ.

(100—6—37)

## განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო [illegible]

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

უოველ დღე, კვირებს გარდა

**დილით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.
**უ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. აველისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.
**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ საბებიო და ქალებისა.

**სალამოთი:**

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

(წ.—1—90)